ალია

№89 (3019) 12 ივნისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

# ავთო (ჭუტა) წერეთლისგან დევნილი ბიზნესმენის მინდია ქაშიბაძის მიმართვა



# არჩევნების შემდეგ „ნაციონალებზე“ სერიოზული შეტევა იწყება?




# „ჩემო ნაპრეზიდენტალო“, რაც დაგვტოვე, სულ უფრო მეტად გასულელებულხარ...“




ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კუს ტბა ყველაზე დაბინძურებული აღმოჩნდა



გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ თბილისში ტბების შემოწმების შედეგად დაბინძურებული მხოლოდ კუს ტბა აღმოჩნდა. ქიმიურმა და მიკრობიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ თბილისის ზღვა და ლისის ტბა არც ქიმიურად და არც მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული არ არის. რაც შეეხება კუს ტბას, მიკრობიოლოგიური დაბინძურება ტბის წყალში არ დაფიქსირებულა, თუმცა ქიმიური ანალიზის გზით აღინიშნა, რომ წყალში ამონიუმის მცირედი ზრდაა, რაც საგანგაშო არ არის.

(რეპორტიორი)

## თბილისში ქვეწარმავლები მომრავლდნენ



1-ლი ივნისიდან დღემდე დედაქალაქის სხვადასხვა უბნიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ქვეწარმავლებთან დაკავშირებით 54 შეტყობინება შევიდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სტატისტიკა არ გაზრდილა და მოსახლეობაში პანიკის საფუძველი არ არსებობს.

„112“-ის წარმომადგენლები მოსახლეობას ურჩევენ, ქვეწარმავლის ნახვის შემთხვევაში არ მიუახლოვდნენ, არ სცადონ მისი ხელით დაჭერა, გამოიძახონ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მის მისვლამდე ყოველგვარ აქტივობას მოერიდონ. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოში 14 ივნისიდან გამოიდარებს



14-დან 18 ივნისამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნალექო ამინდია მოსალოდნელი. პერიოდულად დასავლეთ საქართველოსა და თბილისში გაძლიერდება ქარი, ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში დღისით +22 გრადუსი; აღმოსავლეთში +27 გრადუსი, თბილისში კი +27 გრადუსი იქნება.

13 ივნისს ქვეყნის უმეტეს რაიონებში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, თუმცა ზოგიერთ რაიონში შესაძლოა, კვლავ იწვიმოს. პერიოდულად ძლიერი ქარი შენარჩუნდება, მათ შორის თბილისშიც. ჰაერის ტემპერატურა იქნება დასავლეთში +24 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოში +27 გრადუსი; თბილისში +26 გრადუსი.

14 ივნისიდან 18 ივნისამდე კი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნალექო მზიანი ამინდებია მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში +32 გრადუსამდე მიაღწევს, აღმოსავლეთ საქართველოში კი +33 გრადუსამდე. (ინტერპრესნიუსი)

# ვინ იქნებიან გიგა ბოკერიას ახალი პარტიის ლიდერები?



## სერგო ჯავახიძე: „ნაციონალები“ „ფრესკოს“ აყროლებულ ქათმებს მოსახლეობაში არიგებენ“

FRESCO ფრესკო



# „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“ და „ახალი თაობა“ ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევაში ამხილეს...“

**ასეთი სათაურით გაავრცელეს ინფორმაცია სააგენტოებმა, სადაც ვკითხულობთ:**

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მედიამონიტორინგი ჩატარდა. კვლევამ აჩვენა, რომ მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა გამოცემაში „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა სჭარბობს. ეს ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევია გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“ და „კვირის ქრონიკა“. გაზეთი „ალია“ ღიად მოუწოდებს მკითხველს, არჩევნებში ხმა არ მისცენ „ნაციონალურ მოძრაობას“ ან „ქართულ ოცნებას“. ქართულ ბეჭდურ მედიაში საკმაოდ ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტები არ ერიდებიან სუბიექტურ და დაუსაბუთებელ მსჯელობას. მეტიც, მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებში ხშირად გვხვდება ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები ირღვევა გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“ და „ახალი თაობა“. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევები გვხვდება გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“, – ნათქვამია კვლევის შედეგებში, რომელიც ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაციებს – „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტს“, „ინტერნიუს-საქართველოსა“ და ჩღღჩ-ს ჩაუტარებიათ, ჩვენზე დაკვირვებით აქეთ დოლარების თვლაში თითები რომ გაუმწვანდათ და გაზეთების ფურცვლაში ფრჩხილები გაუშავდათ, ნიღაბი გაისწორეთ ნიღაბი, ნამდვილი სახე გიჩანთ!

და რაო, რაში გამოიხატებაო ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის დარღვევაო? 9 წელი შუბლი ტყვიისთვის რომ გვქონდა მიშვერილი, „ნაციონალური“ რეჟიმი განსხვავებული აზრის მქონე ჟურნალისტებს, სიმართლის თქმისთვის რომ „დუბინკებით“ გვცემდნენ, იარაღით გვემუქრებოდნენ, გვაშანტაჟებდნენ და ჩვენ რომ მაინც სიმართლეს ვამბობდით, ამით ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები? თავისუფლებისთვის მებრძოლი გაზეთები რომ არ უსხდებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს ჯიბეში, მათ კაბინეტებში რომ არ ვწერდით სტატიებს, ჩაწყობილ კითხვებს რომ არ ვუსვამდით რესპონდენტებს, ესაა ჟურნალისტური ეთიკის დარღვევა? ხალხის სამსახურში რომ



ვიდექით, უამრავი ადამიანის სიცოცხლე და თავისუფლება რომ ვიხსენით, ესაა ეთიკის დარღვევა? თქვენ არ იცით, რომ ჩვენ განწირული ადამიანების „ნაცრეჟიმისგან“ გადასარჩენად, ხშირად საკუთარი სიცოცხლე და თავისუფლება ჩაგვიგდია საფრთხეში, ალბათ, არც ის იცით, რომ ჩვენ რეჟიმთან ბრძოლაში ვიყავით და არა „ამურში“, არადა რა ძნელია, როცა ხარ იმ პროფესიის ადამიანი და იმაზე მეტ ინფორმაციას ფლობ, ვიდრე უნდა ფლობდე, იმაზე მეტად ხედავ, ვიდრე ამას რიგითი ადამიანი ამჩნევს, იმაზე მეტად იჩაგრები, ვიდრე იმსახურებ! ახლა ჩვენ რა ვქნათ, პირში წყალი ჩავიგუბოთ და ყვავილები ვესროლოთ? ვითომ ამ ქვეყანაში არ გიცხოვრიათ, პიედისტალიდან იყურებით ერთი მიზნისთვის, მიიღოთ ფული!

თქვენ თუ არ იცით, „მკვლევარებო“, თქვენს დამფინანსებლებს მაინც ეცოდინებათ ერთი ძალიან სკანდალური ისტორია: „ნიუ-იორკ თაიმსს“ თეთრი სახლის ადმინისტრაციამ უჩივლა. ამერიკაში დიდი სკანდალი აგორდა, საქმე უზენაესმა სასამართლომ განიხილა. „ნიუ-იორკ თაიმსმა“ ისეთი დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომელიც „გრიფით საიდუმლო“ იყო და თეთრმა სახლმა გაზეთს 2 მილიონამდე ჯარიმის გადახდა მოსთხოვა... სასამართლომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და თქვა, რომ სახელმწიფო ინტერესი სწორედ ის არის, რაც ხალხს უნდა, ხალხს კი უნდა ის, რომ სიმართლე იცოდეს და ის, რაც „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა, იყო სიმართლე!.. გაიგეთ, „მკვლევარებო“, ფულის კვლევამ კი არ უნდა დაგაბრმაოთ. თქვენ ვერ გვაიძულებთ, ხალხის მოტყუებას, ვერ დაგვინერგავთ კარგად მოტყუების სტანდარტებს, რადგან მხოლოდ კარგად ნათქვამ სიმართლეს შეუძლია ხელისუფლების გამოფხიზლება, ჩვენ მუდამ ხალხის გვერდით ვიდექით, ვდგავართ და დავდგებით, რადგან ჩვენი სიმართლე ხალხის სიმართლეზე სწორდება!

საინტერესოა, როცა სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს კლავდა, როცა პატიმრებზე სექსუალურად ძალადობდნენ, ფოტოგრაფებს ჯაშუშების იარლიყით იჭერდნენ, „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ ფანდურზე უნდა დაეკრა „ნაცრეჟიმისთვის“, თუ სერენადები ემღერა? სად იყავით, როცა „ალია ჰოლდინგმა“ „ჯაშუში“ ფოტოგრაფების დასახსნელად აქციების სერია გამართა? არ მახსენდება თქვენი პროტესტი, ან ახლა სად ხართ, როცა თავისუფალი მედია სასამართლომ 54 570 ლარით უსამართლოდ დააჯარიმა, სიმართლის თქმისთვის?

თუ გავითვალისწინებთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა დღემდე ვერ მოინელა „ალია“ და „ასავალ-დასავალი“, გონივრული ეჭვი ჩნდება, რომ ე.წ. „მკვლევართა“ ჯგუფი, რომელსაც დასავლური დოლარებისთვის კარგად მიუგნია, სააკაშვილის გამონათქვამებთან უნისონში მოდის და ერთი ხელწერაა, კარგია, იმას მაინც აღიარებთ, რომ „ალია“ და „ქრონიკა“ არც ერთი პარტიის მიმართ მიკერძოებული არაა. ამით, თქვენდა უნებურად, კიდევ ერთხელ დაანახეთ ჩვენს მკითხველს, რომ ჩვენ ვართ სიმართლის სამსახურში და ზუსტად იმ ადეკვატურობით მივაბიჯებთ წინ, როგორც ამას ჩვენ მიერ დაქირავებული ხელისუფლებები იმსახურებენ.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროსაბჭოს დელეგაცია არჩევნებს დააკვირდება



ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის დელეგაცია საქართველოში 2014 წლის 15 ივნისს დაგეგმილ თვითმმართველობის არჩევნებს დააკვირდება. დელეგაციას ჯოს ვინენი (ნიდერლანდები, ევროპის სახალხო პარტია) უხელმძღვანელებს. დელეგაცია 22 წევრისგან შედგება, რომელთა შორის არიან წევრები ევროპის კავშირის რეგიონთა კომიტეტიდან.

„მე ყურადღება მივაქციე მთავრობის დაპირებას, რომ ჩატარდეს უმაღლესი დემოკრატიული სტანდარტის არჩევნები, რათა დაიგმოს ნებისმიერი ფორმის ძალადობა და თითოეულ კანონდარღვევას მოჰყვეს სათანადო რეაგირება. საარჩევნო კამპანიის პროცესში პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს შორის კონკურენცია შეიძლება იყოს წინააღმდეგობრივი, მაგრამ არასოდეს უნდა ახლდეს დამამცირებელი თუ სიძულვილით აღსავსე დისკურსი ან ქცევა. ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლისა და დაბალანსების სისტემა არის მოწიფული დემოკრატიული გარემოს მთავარი წინაპირობა, რომელშიც მთავრობასაც და ოპოზიციასაც თავისი როლი აქვს და ორივე პასუხისმგებლობით ეკიდება მათ, ვინც გადაწყვეტილებას იღებს არჩევნების დღეს – ხალხს“, – განაცხადა ვინენმა. (ინტერპრესნიუსი)

## ბაღდათში „ქართული ოცნების“ სიის პირველმა ნომერმა მოქალაქეს სცემა?



ბაღდათში, „ქართული ოცნების“ პარტიული სიის პირველ ნომერს გრიგოლ მაჩიტაძეს მოქალაქის ცემაში ადანაშაულებენ. შემთხვევა ბაღდათში 10 ივნისს მოხდა, რის შემდეგაც მაჩიტაძემ ღამე პოლიციის განყოფილებაში, დაკითხვაზე გაატარა. კოალიციის ბაღდათის გამგებლობის კანდიდატის ირაკლი გეგეშიძის თქმით, მაჩიტაძის მხრიდან ვინმეს ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. გეგეშიძე განმარტავს, რომ გრიგოლ მაჩიტაძეს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მოქალაქემ თავად მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

„ნასვამმა მოქალაქემ უკადრისი იკადრა. თუმცა მაჩიტაძეს მისთვის არაფერი უთქვამს და არც არავის არავინ უცემია. ეს ინციდენტი ამოწურულია და მოქალაქემ უკვე ფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მოიხადა ბოდიში“, – ამბობს გეგეშიძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში მომხდართან დაკავშირებით აცხადებენ, რომ საქმე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლით არის აღძრული, რაც ცემას ითვალისწინებს. „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დანარჩენ დეტალებზე ვერაფერს გეტყვით“, – აცხადებენ პრესსამსახურში. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „100 ქარხანა კი არა, თვითონ ივანიშვილია მოსაძებნი“



საპარლამენტო უმცირესობის წევრის გია ბარამიძის განცხადებით. მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქვეყანაში ცუდიც ხდებოდა და კარგიც, თუმცა ქვეყანა წინ მიდიოდა.

„კარგზეც და ცუდზეც ჩვენ ვაგებთ პასუხს. ჩვენ 9 წლის განმავლობაში გაკეთებული საქმით მოვდივართ. ჩვენ უფრო მეტი გვინდოდა, საკმარისი არ იყო, რაც კეთდებოდა, მაგრამ ქვეყანა წინ მიდიოდა. ჩვენ ამ წლების განმავლობაში გადასახადებს ვამცირებდით. ბიზნესზე 21 სხვადასხვა გადასახადი იყო. ახლა 6-ია დარჩენილი. ერთ წელიწადსა და რვა თვეში ხელისუფლებამ გამოავლინა თავისი სახე. რაც კარგი იყო, გააჩერეს და ცუდი კიდევ უფრო გააღვივეს. პლაკატები რომ არის გამოკრული, 100 ქარხანა იძებნებაო, პლაკატები კი არა, თვითონ ივანიშვილია მოსაძებნი. ჯერ პრეზიდენტი აგვარჩევინა და მერე დაიწუნა. ახლა ღარიბაშვილსა და მის არაკომპეტენტურ მთავრობაზეც იგივეს იტყვის“. – განაცხადა ბარამიძემ. (news.ge)

## დავით ფაცაცია ბურჯანაძეს 2004-2008 წლებს ახსენებს



„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი დავით ფაცაცია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს 2004-2008 წლებს ახსენებს.

„ქალბატონ ბურჯანაძეს მინდა, შევახსენო, ალბათ, არ ახსოვს 2004, 2005, 2006, 2007, 2008 წლები... არ ახსოვს, როგორ ეხვეწებოდა გმირი დედა ირინა ენუქიძე შეხვედრას და დახმარებას... არ ახსოვს ხალხის ქონების წართმევა, წამება, დევნილების გამოყრა საცხოვრებლებიდან და მოღალატეებად შერაცხვა... არ ახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი და ე.წ. სახელმწიფო წესრიგის აღდგენა, არ ახსოვს 2008-ში სააკაშვილის გაპრავება და 1 ლარად წყნეთის სახლის ჩუქება სააკაშვილისგან, კიდევ ათასი სხვა... და ეს მაშინ, როცა ორჯერ პრეზიდენტიც კი იყო და მეორე პირი... არ ვამართლებ არავის, მაგრამ კარგად მახსოვს კახა კალაძის განცხადება არჩევნების წინ და სააკაშვილისთვის სილის გალაწუნების ტოლფასი კითხვა გირგვლიანის საქმის უსამართლოდ ძიებასთან დაკავშირებით... არც ისე გულმავიწყია ქართველი ხალხი, რომ გაუპატიურება და წამება დაავიწყდეს და არც არავის ეგონოს, რომ პასუხს არ მოითხოვენ“, – წერს ფაცაცია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ფრონტნიუსი)




„ნაპრეზიდენტალ კაცს, რატომ უნდა მოუნდეს „პუტინ ხუილოს“ ფონზე ფოტოს გადაღება? სააკაშვილის ქვეცნობიერი გვეკითხება, აბა, გამოიცანით, ვინ უფრო დიდი „ხუილოა“ — პუტინი თუ მიშა? პრინციპში, ორივე ერთი „ხუილოა“ თავისი აკომპანიმენტებით“

ბატონებო, თქვენ თუ აფრენთ, ჩვენც გავაფრენთ, ბოლო-ბოლო გაფრენაზეც ექსკლუზივი ხომ არ გაქვთ?! ექსკლუზივზე გამახსენდა, გივი თარგამაძე ფრაზების პლაგიატია, მან ლევან ბერძენიშვილს ექსკლუზივი მოჰპარა, ბერძენიშვილი 2009 წელს ამბობდა: „ტყუილების მსოფლიო ჩემპიონატი რომ ჩატარდეს, სააკაშვილი პირველ ადგილს არავის დაუთმობდაო“. 2014 წლის 11 ივნისს, „ნაციონალების“ სახე, გივი თარგამაძე აცხადებს: „ბოზობის მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა ვინმე გიორგი კაპანაძემ, იგივე „რიჟამ“, რომელმაც სხვებზე იმით იმარჯვა, რომ საუკეთესო მეგობრის მიმართ არა მხოლოდ სიტყვიერად იბოზა, თვეების მანძილზე ოპერატიული კამერითაც გადაუღო და ბოლოს, სულაც ტელეკომპანია „იმედზე“, თეა სიჭინავას გადაცემა „ბოზების დრო“-ში გააგრძელა ეს ქმედება!“

ვაა, შენ ხარ გივი?! „ბოზობაზედ“ გიცან“! თავისი სახელი არ დაერქმევა, მუდმივად ვიქნებით ანარქიაში, ვიცხოვრებთ სიცრუეში და გავა ეს წუთისოფელი უფასო ცირკის სანახაობით.

გივი თარგამაძე იმ ცხრა წელს იხსენებს, როცა მთელი საქართველო გაბახებული ჰყავდათ: „მახსოვს, მთელი იმ „დაწყევლილი ცხრა წლის“ განმავლობაში „ნაღდი ბიჭები“ და „ვიშეკრიში“ გოგოები გოდებდნენ, რას შვრებიან, მთელი ქვეყანა გააბოზესო. მაგრამ, ჰოი საოცრებავ! როგორც კი ამ სოციუმმა „თავისუფლად სუნთქვა“ დაიწყო, ბოზობა მათ საუკეთესო გართობად და საამაყო საქმიანობად იქცა. მას პომპეზური სახელიც დაარქვეს: „სამართლიანობის აღდგენა“! გივი, ალბათ, ძალიან ნანობს, რომ ქართველ ხალხს სული ვერ ამოხადა, ნანობს, რომ შეკვეთილი მკვლელობები სისრულეში ვერ მოიყვანა, არადა ჩვენ გვახსოვს ბელორუსში განხორციელებული ზარები და შეკვეთილი მკვლელობები. გივი

# „ჩემო ნაპრეზიდენტალო“, რაც დაგვტოვე, სულ უფრო მეტად გასულელებულხარ...“

„პუტინ ხუილო ლა-ლა-ლა-ლააა“... ნაპრეზიდენტალმა ღიპუცამ, მუცელი შეისრუტა, ტერფი დაბრიცა და კიევიდან შინაგანი განწყობის ამსახველი ფოტო გვტყორცნა. მე-20 საუკუნის „ლადასთან“ „ჩემს ნაპრეზიდენტალს“ „დედამისის ჟიგული“ აშორებს, ანალოგიური წარწერით, ოღონდ სახელმონაცვლეობით: „მიშა ხუილო ლა-ლა-ლააა!“ ეჰ, „ჩემო ნაპრეზიდენტალო“, რაც დაგვტოვე, სულ ამოვარდნილხარ ფორმიდან, გაფიჟვინებულხარ, უფრო მეტად გასულელებულხარ და „გაბომჟებულ“-„გადიშოვკებულხარ“... ნაპრეზიდენტალ კაცს რატომ უნდა მოუნდეს „პუტინ ხუილოს“ ფონზე ფოტოს გადაღება? სააკაშვილის ქვეცნობიერი გვეკითხება, აბა, გამოიცანით, ვინ უფრო დიდი „ხუილოა“ – პუტინი თუ მიშა? პრინციპში, ორივე ერთი „ხუილოა“ თავისი აკომპანიმენტებით, მაგრამ ვინ, ვის გაუშვებს მაჟორში აღებული ნოტების თანხლებით, პირდაპირი და პოლიტიკური მნიშვნელობით, სააკაშვილის გასართობ „ხუილოზე“, ამას დრო გვიჩვენებს, პუტინი დაჰკიდებს გენიტალიებით მიშიკოს ხეზე, რასაც დაჰპირდა, თუ მიხეილი დაუსტვენს პუტინს, „პუტინ ხუილო ლა-ლა-ლააა“...

ქვეყანაში პოლიტიკოსების რეაქტიულმა ფსიქოზმა დასაშვებ სიჩქარეს გადააჭარბა. ნეტა როგორ აასრულებენ უტვინო თავები ჩვენს ქართულ ოცნებას? აქაც პასუხი მარტივია: „ნაცი“ ეკითხება ქოცს: სად არის თქვენი აშენებული 100 ქარხანა? „ქოცი“: თქვენი აშენებული 100 საავადმყოფოს გვერდით! ისა და, ეგ ბანერი მიშას აშენებული პარლამენტისთვის რომ მიგვეკრა და დაგვეწერა, „პარლამენტ ხუილო ლა-ლა-ლააა“, გულს მაინც ხომ მოგვეფხანდა?!

ხედავთ, ხალხნო, რა დღეშია „ჭეშმარიტი ოპოზიცია“?! გივის ბოზობის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული „რიჟამ“ „აახია“, ამ ქვეყანაში ბოზობაც დასწრებაზეა! გივი თარგამაძეს მისი „გმირობები“ რომ შევახსენოთ „ალიას“ ფურცლები ამას ვერ დაიტევს, ტომები დაიწერება, განა ის ფაქტი რად ღირს, რომ გივი თარგამაძემ და მისმა კრიმინალად ქცეულმა ხელისუფლების დაჯგუფებამ ქვეყანა გააბახა, მთელი ქვეყანა გამოაბექაურეს და „ჟუჩოკები“ „ნაცების“ განუყოფელი ატრიბუტი გახდა, ფარული ჩანაწერები, მიყურადება, „ჩაშვება“... აი, რაზე იდგა მათი საქართველო, ნომრიანი შპიონები, დღეს რომ მოგიბრუნდებიან და „ბლატაობას“ დაგიწყებენ, „კაი ბიჭობას“ გადაწყვეტენ და მორალს წაგიკითხავენ, როგორ უნდა იყო მშვიდად? ამიტომაც ვიდრე არ აღდგება სამართლიანობა, ვიდრე ყველას და ყველაფერს დღეს დეპრესიაშია, რომ ბოლომდე არ ჩაგვაძაღლა, გივი დაიკარგა დროსა და სივრცეში, მას, უბრალოდ, ყველა ნეგატიური ეპითეტი წაერთვა, იმიტომ რომ ლექსიკონში მისი ქმედებების ეპითეტი არ მოიპოვება. გივი თარგამაძე მრავლისმეტყველი ფრაზით ასრულებს „ფეისბუკზე“ გამოქვეყნებულ თავის სტატუსს: „დღეს „რიჟას“ მხურვალედ მიესალმებიან! დღეს „რიჟას“ დღეა! მაგრამ „რიჟამაც“ იცის, ჰაკიმი ჩაივლის მალე“. მერე რა იქნება, გივი? სულის ამოხდის ნანატრი დრო, ამ ქვეყანაში აღარასოდეს დადგება, ახლა თქვენი პოლიტიკურად სულის ამოხდის დროა, ჰაკიმ ფაშა პრეზიდენტად გყავდათ, მარტო ქართველ ხალხს კი არა, მის თანაგუნდელებსაც

*გაგრძელება
მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პატრიარქი: „ჩვენ კიდევ ერთხელ ვნახეთ წყალობა უფლისა“



11 ივნისს საქართველოში სამი მნიშვნელოვანი დღესასწაული აღინიშნა – ჯვრის თაყვანისცემა, რომელიც გამოჩნდა ცაზე წმინდა ნინოს დროს, ლომისობის წმინდა გიორგის დღესასწაული და ახალი ეპისკოპოსის კურთხევის დღე. დღესასწაულებთან დაკავშირებით სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საღვთო ლიტურგია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ, ილია მეორემ მრევლს ქადაგებით მიმართა.

„ჩვენ კიდევ ერთხელ ვნახეთ წყალობა უფლისა, მადლობას შევწირავთ ამისთვის უფალს, გერმანიასა და ავსტრიაში მრავლად არის ქართველი მოსახლეობა, თქვენ ყურადღება უნდა გამოიჩინოთ მათ მიმართ. თქვენ წმინდა სინოდმა განგაწესათ იმისთვის, რომ არა იქ დარჩეთ, არამედ წმინდა სინოდმა აგირჩიათ იმისთვის, რომ მოუყაროთ თავი ყველა იქ მყოფ ქართველს, დააბრუნოთ საქართველოში და თქვენც დაბრუნდეთ საქართველოში. თქვენ უნდა იყოთ მაგალითი მათთვის და ყველა ქრისტიანისთვის“, – აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

უწმინდესმა იმედი გამოთქვა, რომ ახლად არჩეული ეპისკოპოსი მის იმედებს გაამართლებს. პატრიარქმა ახლად არჩეულ მეუფეს ეპისკოპოსის კვერთხი გადასცა და დალოცა. (ნიუპოსტი)

## ლომისობის დღესასწაულზე 8 ადამიანმა ფეხი მოიტეხა

ლომისობის დღესასწაულზე მლეთაში, სალოცავში ასულმა რამდენიმე ადამიანმა სტიქიის გამო, დაზიანება მიიღო. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ქეთევან წიკლაურის განცხადებით:

„ლომისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქვემო მლეთაში, სალოცავში უამრავი ადამიანი იყო. ძალიან ძლიერი წვიმა დაიწყო, რის გამოც გზაზე სიარული გაჭირდა და რამდენიმე ადამიანი დაშავდა. როგორც ჩემთვის ცნობილია, 8 ადამიანმა ფეხი მოიტეხა. ხუთი მათგანი უკვე გადაიყვანეს საავადმყოფოში“, – განაცხადა წიკლაურმა. (ნიუპოსტი)

## „ბურჯანაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთი გუნდის წევრები არიან“




ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ ტოქშოუ „არჩევანში“ სტუმრობისას ნინო ბურჯანაძეს მიმართა, რომ სიმართლე ეთქვა ქვეყნის მოსახლეობისთვის.

„მოვისმინეთ დემაგოგიური განცხადებები ბურჯანაძისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, არ უნდა გაგვიკვირდეს ეს ერთნაირი პათოსი, რადგან ისინი ერთი გუნდის წევრები არიან. მე შემოვიარე რეგიონები, ყველა ქალაქში ვიყავი და „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები გადაბარგებული არიან ბურჯანაძის პარტიაში. ჩვენ ვიცოდით, რომ ბურჯანაძე იყო სააკაშვილის გუნდის წევრი. ახლა გვესაუბრება, რომ მიიღო პარლამენტიდან წამოსვლის უპრეცედენტო გადაწყვეტილება. სიმართლე უთხარით ქვეყნის მოსახლეობას, 2008 წელს თქვენ წამოხვედით იმის გამო, რომ სააკაშვილმა გაგათავისუფლათ, რადგან ვერ მოილაპარაკეთ საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. ეს იყო რეალობა“, – განაცხადა კალაძემ.

მან ნინო ბურჯანაძეს 26 მაისიც შეახსენა:

„ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს 26 მაისი, თქვენი ესკორტი, როდესაც ახალგაზრდა ბიჭებს ხელკეტებით სცემდნენ, როგორ გაგიკეთათ კორიდორი „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორ გარბოდით და იქ ხალხი როგორ იხოცებოდა და რა დღეში იყო. იქ დაზარალებულ ერთ ოჯახს მაინცთუ მიაქციეთ ყურადღება?“, – განაცხადა კალაძემ.

ნინო ბურჯანაძემ კალაძეს სპეციალური ბრიფინგით უპასუხა:

„ბატონმა კახა კალაძემ, რომელიც იმ ადამიანების სისხლზე და ცრემლზე მოვიდა ხელისუფლებაში, რომლებიც ჩემს უკან დგანან, შეურაცხყოფა მოგვაყენა თითოეულ ჩვენგანს, და ათასობით იმ ადამიანს, რომლებიც 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და უკეთესი ხვალინდელი დღისთვის იბრძოდნენ მაშინ, როდესაც ბატონი კახა კალაძე იტალიაში ნებივრობდა, ხოლო ბევრი მისი თანამებრძოლი ნიშნს გვიგებდა და სააკაშვილს ამართლებდა.

მთელი უბედურება ის არის, რომ საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი არის კახა კალაძე და მის განცხადებებს სერიოზულად უნდა ვუპასუხოთ. მაგრამ რეალობა „ქართული ოცნების“ წყალობით ასეთია და შესაბამისად, ვპასუხობთ მთელ „ქართულ ოცნებას“. კალაძის განცხადება გაკეთდა აჭარის და დასავლეთ საქართველოს შემოვლის შემდეგ და ნათლად გამოაჩინა, რა დაინახა ბატონმა კახამ. მან დაინახა, რომ „ქართული ოცნება“ აგებს არჩევნებს. დაინახა, რომ „ქართული ოცნების“ რეალური კონკურენტი ვართ ჩვენ და მიხვდა, ვის უნდა დაარტყას და ებრძოლოს, თუმცა კალაძეს, სამწუხაროდ, კიდევ ერთი ავტოგოლი გამოუვიდა. ვინ საუბრობს ჩვენს გაერთიანებაში „ნაციონალების“ გადმობირებაზე, როცა „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალების“ გადასვლის უამრავი მაგალითი მაქვს დოკუმენტების სახით. აქ არიან ადამიანები, ვინც საპარლამენტო არჩევნებზე 5 ნომრით იყრიდნენ კენჭს და იგივე ადამიანები დღეს 41 ნომრით იყრიან კენჭს. 26 მაისის აქციის დარბევის მონაწილე დღეს შინაგან საქმეთა მინისტრად დაგვინიშნეს ბატონ ღარიბაშვილის სახით. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ კი დავინახეთ, რომ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ სახით ძალიან მყარი ერთობა ჩამოყალიბდა. კალაძის განცხადებამ, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს იმ განცხადებას, რომელიც ერთადერთმა კაცმა გააკეთა საქართველოში 26 მაისთან და ჩემთან დაკავშირებით, და ეს ერთადერთი კაცი არის მიხეილ სააკაშვილი, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ეს ერთი გუნდია, რომლებიც ერთნაირად აზროვნებენ, ერთნაირად ხედავენ და ერთნაირად აფასებენ მას. ცინიკურია ბატონი კალაძისა და მისი გუნდის განცხადებები“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

აფურთხებდა და თქვენ გიხაროდათ, რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო, თქვენმა ჰაკიმმა ჩაიარა და ახლა თქვენი ბოზობის მოკითხვის დრო იქნება!“

ახლა კი მათ შევახსენებ ისტორიას, ვინც არ იცის, რა მოხდა 10 ივნისს, ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პოლიტიკის დროში“. ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ, მეტსახელად „რიჟამ“ განაცხადა, რომ 2010 წელს ვანო მერაბიშვილის დავალებით დაბა გუდაურში აქტივები 10 მლნ ევროდ შეაძენინეს, ერთი წლის შემდეგ კი ერთ დოლარად დააბრუნებინეს სახელმწიფოსთვის. კაპანაძის ტექსტიდან ირკვევა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ სხვა გზა არ დაუტოვა, რადგან მათი მეშვეობით ციხეშიც აღმოჩნდა, ამიტომაც დასთანხმდნენ მიწის დათმობაზე, „რიჟას“ იგივე კაპანაძის ინფორმაციით, ეს იყო პირადად დორბლიანი სააკაშვილის დავალება. ის დამნაშავეა! 200 000 დოლარის ჯარიმის ჩამოწერის სანაცვლოდ კი 50 000 ლარი გიორგი ღონიაშვილის (გიგი უგულავას ქვისლი. – ნ.ს.) ხელით თბილისის მერს გიგი უგულავას გადაუხადა.



„გივი, ალბათ, ძალიან ნანობს, რომ ქართველ ხალხს სული ვერ ამოხადა, ნანობს, რომ შეკვეთილი მკვლელობები სისრულეში ვერ მოიყვანა, არადა ჩვენ გვახსოვს ბელორუსში განხორციელებული ზარები და შეკვეთილი მკვლელობები“

კაპანაძემ სკანდალური განცხადება გააკეთა, ასევე, სააკაშვილის ბიძაზე: „შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ე.წ. ლობის ძიება დავიწყეთ, ვიპოვეთ ლობი, ეს იყო თემურ ალასანია, რომელმაც მფარველობის სანაცვლოდ 2 მილიონი დოლარი მოითხოვა, ეს თანხა ქეშად ან ანგარიშზე უნდა მიეღო. ამის შემდეგ, ალასანიამ ზესტაფონის ფეროს აქციების 25 პროცენტის გადაცემა მოგვთხოვა. ამ საუბრის შემდეგ მე და ბატონი თემურ ალასანია გამოვედით რესტორნიდან, მოცვივდნენ ნიღბიანი პირები, ჩაატარეს რაღაც პროცედურები და აღმოჩნდა, რომ თურმე მე ამ შეხვედრაზე ნარკოტიკები მქონდა მიტანილი“.



„ვიპოვეთ ლობი, ეს იყო თემურ ალასანია, რომელმაც მფარველობის სანაცვლოდ 2 მილიონი დოლარი მოითხოვა, ეს თანხა ქეშად ან ანგარიშზე უნდა მიეღო. ამის შემდეგ, ალასანიამ ზესტაფონის ფეროს აქციების 25 პროცენტის გადაცემა მოგვთხოვა“

მოკლედ, „რიჟამ“ შურისძიება გადაწყვიტა. ნათქვამია, გველის ნაკბენს გველის შხამივე შველისო და იმავე მეთოდებით დაუწყო ბრძოლა „კოლექტიურ დორბლიანებს“. ის ახლო კონტაქტში შევიდა უგულავას ქვისლთან ღონიაშვილთან და მას ფარულად იწერდა, მეგასკანდალი კი ამ ისტორიაში ის გახლავთ, რომ გიგი უგულავამ არჩევნებისთვის ფულის გათეთრების მიზნით „რიჟასთან“ გიორგი ღონიაშვილი მიაგზავნა: „გიგი უგულავას ქვისლი გიორგი ღონიაშვილი, უგულავას თხოვნით მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მათ დავხმარებოდი საარჩევნოდ თანხების გათეთრებაში. გამოძიება ფლობს საკმარის მასალებს, რომ ეს დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მეთაურიც არის სააკაშვილი, მისი უახლოესი თანამებრძოლი გიგი უგულავა და დავით კეზერაშვილი იქნენ მხილებულნი. მოკლედ, მათ სჭირდებოდათ უცხოეთიდან არჩევნებისთვის თანხების გადმოქაჩვა და ამისთვის საჭირო იყო გარკვეული კომპანია. მე ღონიაშვილს დავთანხმდი და წარმატებით შევასრულეთ ეს ღონისძიებები. ეს გავაკეთე იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივი ქმედებები დამენახვებინა, თუ ვინ არიან ისინი რეალურად!“

აი, ბატონებო, ფაქტი, მოწმე და მტკიცებულება, რომელიც უკვე სამართალდამცავების ხელშია, საინტერესოა, განა რამდენი მასალა, რამდენი მოწმე უნდა ალაპარაკდეს, რომ „ნაციონალებმა“ ხმა ჩაიგდონ და ამ ქვეყანაში სამართალი აღდგეს? ისე, ჩემო ბატონებო, გიგი უგულავას ცოლისდასაც კარგი გინება სცოდნია, გიგი უგულავას ცოლისდა, გიორგი ღონიაშვილის მეუღლე მაკა კილაძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ღონიაშვილის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმის, ბიზნესმენ გიორგი კაპანაძის განცხადებებს ასე პასუხობს: „სატანაა ეს დედა მოტ...ლი. მოიკითხეთ ან ის „ფერო“ საიდან აქვს, ვის გამოგლიჯა „მხედრიონის“ დახმარებით. ჩემი ქმარი კი გადაიტანს ამ ციხესაც და კაცი გამოვა ისევ და ეს ყ...ე არაკაცი მუდამ ბოლმა, დედა მოტ...ლი, აფერისტი გადამგდები და ურჯულო დარჩება. არ ყოფილა მეგობარი, თურმე, ეს იუდა... ეგ ჩირქი მილიონებით არ ირეცხება. რა ფული და ან რა სოციალური სტატუსი წონის ამ სიმდაბლეს. როგორ უნდა გაიძულონ ხუთწლიან მეგობრობას ხაზი გადაუსვა და ციხისთვის გაიმეტო შენი მეგობარი, გარეთ დაუტოვო სამი შვილი და აქედან ორი მცირეწლოვანი. რამ უნდა დაგაბრმაოს და გაგაბოროტოს ესე. ქრისტესაც ყავდა თორმეტ მეგობარში ერთი იუდა. რას იზამ, მაგისგან დაზღვეული ვერ ვიქნებით“.

მაკა კილაძის აღშფოთებული „ნააზრევის“ ერთი „ფრთიანი“ ფრაზა, ზუსტი ეპითეტია იმ რეჟიმს, რაც „ნაციონალების“ ჰაკიმ ფაშამ მოუწყო ქართველ ხალხს, და რა არის „ნაციონალურ მოძრაობა“? – „სატანაა, ეს დედა მოტ...ლი“...

ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რიკოთის უღელტეხილზე მოძრაობა აღდგენილია



რიკოთის უღელტეხილზე საავტომობილო მოძრაობა შეუფერხებლად ხორციელდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, რიკოთზე საავტომობილო მაგისტრალის გარკვეულ უბანზე ძლიერი წვიმის შედეგად წყალმა მთის ფერდობებიდან ხის ტოტები ჩამოიტანა, თუმცა ამის გამო საავტომობილო მოძრაობა არ შეფერხებულა.

მათი ცნობით, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნული გზის უბანი გაასუფთავეს და დამტვრეული ხის ტოტები გაიტანეს. შესაბამისად, რიკოთზე ავტომობილები შეუფერხებლად გადაადგილდებიან. (ნიუპოსტი)

## საგარეო უწყება საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს მოქალაქეებს, ერაყში განვითარებული მოვლენების ფონზე თავი შეიკავონ აღნიშნულ სახელმწიფოში გამგზავრებისგან.

„როგორც ცნობილია, 2014 წლის 6 ივნისიდან მოყოლებული ერაყის ნინევას პროვინციის ჩრდილო-დასავლეთში უკიდურესად დაიძაბა ვითარება. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ტერორისტულმა დაჯგუფებამ ხელში ჩაიგდო ქ. მოსული, რომელიც ერაყში სიდიდით მეორე ქალაქია. ამ ეტაპზე ამბოხებულები მიიწევენ სალაჰ ედ-დინის პროვინციისკენ. დაწყებულია მოქალაქეთა სრული ევაკუაცია.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნური ალ-მალიქიმ პარლამენტს მიმართა თხოვნით, რომ გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა და მოსახლეობას დაურიგდეს იარაღი, რათა მათ თვითონ შეძლონ ამბოხებულებთან გამკლავება.

საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, დაუკავშირდნენ იორდანიის სამეფოში საქართველოს საელჩოს, რომელიც ასევე აკრედიტებულია ერაყის რესპუბლიკაში, ცხელი ხაზის ნომერზე +962 797299799“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## დიმიტროვი არასამთავრობოების იგნორირებას არავის ურჩევს



საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა ყველა მხარეს მოუწოდა, არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები გაითვალისწინონ.

„ვითარებას ყურადღებით ვაკვირდებით, ვაფასებთ წარმატებას, რასაც საქართველომ წინა ორი არჩევნების დროს მიაღწია. ვფიქრობ, არსებობს სერიოზული საფუძველი ასოცირების ხელშეკრულების გასაფორმებლად, ეს უნდა შენარჩუნდეს. ნამდვილად არსებობს შეშფოთების საგანი, რომელთა შესახებაც არასამთავრობოების მხრიდან ვისმენთ. ამის იგნორირებას არავის ვურჩევდი. პრობლემები უნდა მოგვარდეს. დემოკრატიულ ქცევას საფუძველი უკვე ჩაეყარა და მისი შერყევა ადვილი არ არის, მაგრამ თუ კანონის ფარგლებს რაიმე სცდება, დაუყოვნებლივ უნდა მიხედონ და გამოიძიონ“, – განაცხადა დიმიტროვმა. (ნიუპოსტი)

# ავთო (ჭუტა) წერეთლისგან დევნილი ბიზნესმენის მინდია ქაშიბაძის მიმართვა

***საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს***
***საქართველოს მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს***
***საქართველოს სახალხო დამცველ  უჩა ნანუაშვილს***

ამ დღეებში პრაღის სასამართლომ ჩემს ექსტრადირებაზე უკვე მეხუთედ უთხრა უარი საქართველოს მთავარ პროკურატურას, რადგან მიიჩნია, რომ საქართველოში ჩემს სიცოცხლეს კვლავინდებურად საფრთხე ემუქრება და სამართლიანი სასამართლოს იმედი არ უნდა მქონდეს.

საგანგაშოა, როცა ევროპის ერთ-ერთი სასამართლო, 1-ლი ოქტომბრის არჩევნებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგაც, ასეთ დასკვნას აკეთებს. გვინდა დავიჯეროთ, რომ სამართლიანობის აღდგენა ახალი ხელისუფლების პრიორიტეტია, მაგრამ ფაქტები ჯიუტია. 2012 წლის ნოემბერში მთავარ პროკურატურაში სარჩელი შევიტანე ავთო (ჭუტა) წერეთლის წინააღმდეგ, რომლის კაბინეტშიც ბრტყელტუჩათი არაადამიანურად მაწამეს. ამის მიზეზი წერეთლის მხრიდან ჩემი ბიზნესის ხელში ჩაგდების სურვილი იყო. პარალელურად, მასთან გარიგებაში მყოფმა ფინანსური სამსახურის მაშინდელი მესვეურებმა დევნა დამიწყეს, რის გამოც იძულებული გავხდი, თავი ჩეხეთისთვის შემეფარებინა.

მეხუთე წელია, ჩემი ოჯახის ტანჯვა გრძელდება. საქართველოს პროკურატურა კი იმის ნაცვლად, რომ სათანადოდ გამოიძიოს ჩემი წამებისა და დევნის საქმე, წერეთლის შეკვეთით შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე ჯიუტად ითხოვს ჩემს ექსტრადირებას. მეტიც, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ახლახან ბიზნესმენი ირაკლი ბოჭორიძე ჭუტა წერეთლის განცხადების საფუძველზე დააპატიმრეს და 4 წელი მიუსაჯეს. ეს მაშინ, როცა ჩემი სარჩელი 2 წელია, თაროზე დევს და გამოძიებას ერთხელაც არ გასჩენია სურვილი, დავეკითხე. ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ჭუტა წერეთლის კავშირებსა და გავლენებს პროკურატურასა და სასამართლოში ცვლილებები არ შეხებია.



აღნიშნულიდან გამომდინარე, მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს გენერალურ პროკურორ გიორგი ბადაშვილს, საქართველოს სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს, სასწრაფოდ გამოიძიონ ჩემი წამებისა და დანაშაულებრივი დევნის ფაქტები და პასუხისგებაში მისცენ კრიმინალური გარჩევებისა და დევნის ავტორები – ჭუტა წერეთელი და მისი ხელშემწყობები.

***მინდია ქაშიბაძე***
***პრაღა, 11 ივნისი 2014 წელი***

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სამართალს რომ პური ეჭამა, სააკაშვილი ქვეყნიდან ვერ გავიდოდა“

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ ახალ ხელისუფლებას აუცილებლად უნდა ემოქმედა და გამოეძიებინა ყველა დოკუმენტი, რომელიც პრესაში ეტაპობრივად ქვეყნდებოდა.

„როცა პრესაში დოკუმენტები ქვეყნდება ხელმოწერებით, რომ ბიუჯეტი ხმარდებოდა სააკაშვილის შვილის სწავლის დაფინანსებას, ფავორიტი ქალების საჩუქრებს, თვითონ სააკაშვილის ბოტოქსს და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობით, სამართალდამცავები ვალდებულები იყვნენ, აღეძრათ საქმე. ვიღაცამ თუ ეს პროცესი შეაჩერა, ეს არის დიდი დანაშაული. დღესაც ვისმენთ, რომ მოწმის სახითაა დაბარებული სააკაშვილი. წარმოიდგინეთ სამართალს რომ პური ეჭამა, ყველა ეს საქმე რომ აღძრულიყო, ექსპრეზიდენტი ძებნილი კი არა, ქვეყნიდან ვერ გავიდოდა. საქმე გვაქვს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თანხების მიტაცებასთან. როდესაც ქვეყნდება დოკუმენტები, რომ ლობისტურ ფირმებზე უშიშროების საბჭოდან მილიონებია დახარჯული, რომ გიგა ბოკერიას ნაღდი ფულის სახით აქვს აღებული ასობით ათასები, რამე გაგიგიათ ამის გამოძიებაზე?“, – აცხადებს მამრაძე. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# არჩევნების შემდეგ „ნაციონალებზე“ სერიოზული შეტევა იწყება?



ნათქვამია, სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო. ზუსტად ასეა ჩვენი საქმე. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მას აქვს გონივრული ეჭვი, რომ რამდენიმე მოსამართლე „ნაციონალების“ თამაშს თამაშობს და იმედოვნებს, რომ ისინი გამოსწორდებიან.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დათო ლორთქიფანიძის აზრით, როგორც არ იქნება „ნაციონალების“ გამოსწორება, ისე არ იქნება მათი მოსამართლეების გამოსწორება. მისივე თქმით, არსებობს სააკაშვილზე მორგებული უამრავი კანონი, რომლის შეცვლაც სასწრაფო წესით უნდა დაიწყოს ადგილობრივი არჩევნების შემდეგ.

**„ალიას“ დავით ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

**— დავით, ნამეტანი ბევრი კვერცხი იხარჯება „ნაციონალებზე“ და ამერიკის ელჩიც წუხს, ბაზარზე დეფიციტი შეიქმნებაო.**

– არჩევნები ყველაზე კარგი დროა იმისთვის, რომ ზოგიერთმა ანგარიშები გაასწოროს ინდივიდუალურად. უკვე ათასჯერ ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენ პიარში ნამდვილად მოვიკოჭლებთ. „ნაციონალები“ ერთი კვერცხის გასროლასა და მუშტის მოღერებასაც კი აფიქსირებენ და ამერიკის ელჩთან ჩივიან. სწორედ ამან გამოიწვია რიჩარდ ნორლანდის განცხადება, რომელიც საზოგადოებას სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

**— ნორლანდი აცხადებს: როდესაც დასისხლიანებულ კანდიდატებს ვხედავთ, ეს კარგი ნიშანი არ არისო.**

– ხედავ, როგორ ამძაფრებს ეს კაცი? მე დღემდე კვერცხით დასისხლიანებული კანდიდატი არ მინახავს. არ ვიცი, შეიძლება ელჩმა ნახა ვინმე. ნორლანდი ამბობს, ბოლო ორ არჩევნებში რა სტანდარტიც დაფიქსირდა, იმის ქვემოთ არ უნდა წამოვიდეთო. უკაცრავად, მაგრამ მანამდე რამდენი არჩევნები ჩაატარეს „ნაციონალებმა“, რამდენი გააყალბეს, ამაზე ვინმემ ხმა ამოიღო, ან ვინმე დაისაჯა? დაუკვირდი, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზეა ლაპარაკი, ისე წარმოაჩენენ, თითქოს მათ ყველაფერი გააკეთეს, საკითხი მიიყვანეს ბოლომდე და მხოლოდ ხელმოწერაღა დარჩა. ამაშიც პლუსებს იწერენ, ჩვენ მოგიმზადეთ ყველაფერი, ბიჭო, აჰა, ჩადით ახლა და მოაწერეთ ხელი. ახლა არ გამიკვირდება, რომელიმე „ნაციონალი“ რომ გამოვიდეს და თქვას: ბაროზო რომ ჩამოდის, ეგ ჩვენ დროს იყო დაგეგმილი და ამისი დაანონსება დაგვავიწყდაო. ამ ადამიანებს არ რცხვენიათ! პიარი მაინც აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვზარალდებით. ერთ მაგალითს გეტყვი, ამაზე არავის არ გაუმახვილებია ყურადღება. სამი დღის წინ პრემიერ-მინისტრთან იყო შეხვედრა, ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები იყვნენ და ღარიბაშვილმა წარმოადგინა ასეთი პროექტი – 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო დახარჯავს ამ სფეროში 100 მილიონ ლარს, გუნდებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს და უმაღლეს ლიგაში იქნება 16 გუნდი. ვრთავ ტელევიზორს, იწყება 3-საათიანი „კურიერი“ და ამბობენ, რომ თურმე შედგა სხდომა, ვერ შეთანხმდნენ, 12 გუნდი იქნება თუ 16 გუნდი, გამოდის „ზესტაფონის“ ხელმძღვანელი, ამბობს, მე არ ვეთანხმები, რომ იყოს 16 გუნდიო, სახელმწიფო 3 წლის შემდეგ დაფინანსებას შეგვიწყვეტს და რაღა გვეშველებაო?

ამის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი, დომენტი სიჭინავა ატარებს პრესკონფერენციას და ამბობს: ჩემთვის გაუგებარია, რატომ შექმნეს მოლოდინი, რომ 16 გუნდი იქნებოდაო? ამას ამბობს კაცი, რომელიც ნახევარი საათის გამოსულია პრემიერის კაბინეტიდან. ეს განცხადება იყო მიმართული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ და დომენტი ამას აკეთებს საარჩევნოდ. შე კაი კაცო, იყავი პრემიერთან, ილაპარაკეთ, რაღაცაზე შეთანხმდით, გითხრეს, კიდევ შევიკრიბოთო, ასეთი პროვოკაციული პრესკონფერენციები რაღა საჭიროა? ამას სიჭინავა კი არ აკეთებს, არამედ, აკეთებენ ის ადამიანები, რომლებმაც სიჭინავა მოიყვანეს დაუმსახურებლად. ბოლო-ბოლო, რას წუწუნებს, ხელისუფლებამ ფული მოგვცესო? მე კარგად მახსოვს, როცა ეგ მოიყვანეს, ხმამაღლა აცხადებდა, მე ინვესტიციებს მოვიზიდავ და ქართული ფეხბურთი იქნება დაფინანსებულიო. თუ ახლა მარტო ბიუჯეტის იმედი აქვს, მაშინ კარგად გვქონია საქმე. ამ ყველაფრის უკან დგანან „ნაციონალები“, ისინი დღესაც ერევიან ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში, სადაც არსებობს კრიმინალური მაფია. თან ფულს ითხოვენ, 100 მილიონზე თანხმობას იღებენ და ნახევარ საათში ისევ ხელისუფლებას ლანძღავენ.

**— ორი დღის წინ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა ის, რაზეც ჩვენ დიდი ხანია ვწერდით: სასამართლოში არიან მოსამართლეები, რომლებიც ასრულებენ „ნაციონალების“ დავალებებს და იმედია, გამოსწორდებიანო. და ის 4.5 მილიარდიც**



**„ხედავ, როგორ ამძაფრებს ეს კაცი? მე დღემდე კვერცხით დასისხლიანებული კანდიდატი არ მინახავს. არ ვიცი, შეიძლება ელჩმა ნახა ვინმე. ნორლანდი ამბობს, ბოლო ორ არჩევნებში რა სტანდარტიც დაფიქსირდა, იმის ქვემოთ არ უნდა წამოვიდეთო. მანამდე „ნაციონალებმა“ რამდენი გააყალბეს, ამაზე ვინმემ ხმა ამოიღო, ან ვინმე დაისაჯა?“**

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი ალასანია საკუთარ განცხადებას განმარტავს



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია საკუთარ განცხადებას განმარტავს, რომელიც პოლიტპატიმრების სტატუსით განთავისუფლებულ პირებს უკავშირდებოდა.

„როგორც ჩანს, ყოველთვის გვჭირდება ძალიან ნათელი განმარტებები რომ გავუკეთოთ ხელახლა იმას, რაც ვთქვით. სამწუხაროდ, კარგი მსმენელი არა გვყავს ხოლმე პოლიტიკური სპექტრის სახით და გამეორება გვიწევს. აქ არ არის საუბარი პოლიტპატიმრებზე ზოგადად. კონკრეტულად იყო დასმული შეკითხვა ჩემ მიმართ იმ კონკრეტულ პირებზე, ვინც ეჭვმიტანილი იყო ჯაშუშობაში, ანუ იყო კონტრდაზვერვითი საფრთხის მატარებელი და მე სწორედ ამ კატეგორიის ხალხზე მქონდა საუბარი და არავითარ შემთხვევაში ზოგადად პოლიტპატიმრებზე. აქედან გამომდინარე, ჩემი პასუხი ეხებოდა ვიწროდ, იმ ადამიანებს, ვინც ეჭვმიტანილი იყო ჯაშუშობაში. რა თქმა უნდა, მომავალშიც ჩვენ ძალიან მტკიცე ვიქნებით როგორც სახელმწიფო ყველა კონტრდაზვერვითი საფრთხის მიმართ და გვექნება ძალიან სწრაფი რეაგირება ყველა ასეთი საფრთხის წინააღმდეგ“, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

## ცესკომ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოადგინა

ცესკოს განცხადებით, თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ადგილების მიხედვით 12 ოლქში 340 საარჩევნო უბანი შექმნა. საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ კომისიის წევრთა რაოდენობამ 2 446 შეადგინა, მათ შორის, 62% არის სომეხი და 37% აზერბაიჯანელი; ავარიელი, რუსი და ოსი წევრების რაოდენობა, ჯამში, 1%-ს შეადგენს. მათ საარჩევნო ტრენინგები მათთვის გასაგებ ენაზე ჩაუტარდათ.

სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა 15-მდე დასახელების საარჩევნო მასალა, მათ შორის ამომრჩეველთა ერთიანი სია და საარჩევნო ბიულეტენები. ორენოვანი, ქართულ-აზერბაიჯანული საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდება 9 ოლქის 200 უბნისთვის; ქართულ-სომხური ბიულეტენები – 7 ოლქის 130-ზე მეტი უბნისთვის, ხოლო მარნეულის ოლქის ოთხი უბნისთვის დაიბეჭდება სამენოვანი – ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საარჩევნო ბიულეტენი. (ნიუპოსტი)

## პრემიები ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების პრემიებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

ინსტიტუტის ინფორმაციით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს: დეპარტამენტის თავმჯდომარის – 3 450 ლარს, პირველი მოადგილის – 2 700 ლარს, მოადგილის 2 600 ლარს. 2013 წლის განმავლობაში აღნიშნული თანამდებობის პირები ყოველთვიურად იღებდნენ დაახლოებით თანამდებობრივი სარგოს ოდენობის პრემიას.

„საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გადაუდებელი აუცილებლობით განპირობებული შესყიდვები განახორციელა 34 944 779 ლარის ღირებულების საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. აღნიშნული თანხიდან ყველაზე დიდი თანხა 11 171 430 ლარი მოხმარდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსასვლელი საავტომობილო გზის კმ 22-კმ 34,3 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდის ბალანსზე ამჟერად იმყოფება 39 ავტომობილი, რომელთაგან აღმასრულებელი დირექტორის მფლობელობაში იმყოფება 103 908 ლარად შესყიდული 2010 წელს გამოშვებული „ტოიოტა ლენდკრუიზერი“, ხოლო მისი პირველი მოადგილის მფლობელობაში 69 804 ლარად შესყიდული 2008 წელს გამოშვებული იგივე მოდელის ავტომობილი.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 6000 ლარს, მისი პირველი მოადგილის – 5 500 ლარს, ხოლო მისი მოადგილის – 5 450 ლარს. 2013 წელს აღმასრულებელ დირექტორსა და მის ორ მოადგილეს პრემიის სახით მიღებული აქვთ 50 276 ლარი.

2013 წლის განმავლობაში ფონდმა საზღვარგარეთ მივლინებებზე, ჯამში, 46 833 ლარი დახარჯა, დაწესებულების წარმომადგენლობითმა ხარჯმა კი 58 506 ლარი შეადგინა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

**გაიხსენა, ომის შემდეგ რომ მოგვცეს დახმარების სახით...**

– ეს მოსამართლეები არ გამოსწორდებიან იმიტომ, რომ მათი ზემდგომები იუსტიციის საბჭოში არიან „ნაციონალები“. მათი პატრონი ისევ არის სააკაშვილი. არადა, ერთი მოსამართლის წინ დგას უამრავი დაზარალებული ადამიანი, შეურაცხყოფილი, დამცირებული და გაუბედურებული ხალხი!

**— აგერ, ჩვენ უკვე მივიღეთ სააღსრულებო ფურცელი, 1 კვირა გვაქვს ვადა, თუ არ გადავიხდით 54 570 ლარს, ეგრევე დაგვიყადაღებენ ყველაფერს.**

– ჰო, მოგადგებიან და უნდა აღვასრულოთო... სამწუხაროდ, ჩემი გუნდის წევრები ვერ დავარწმუნე ამაში და როცა ველაპარაკები, ღიზიანდებიან. ჩვენ როგორც კი მოვედით, უნდა მოგვეხდინა იმ კანონების რევიზია, რომლებიც მორგებული ჰქონდათ „ნაციონალებს“ საკუთარ თავზე. ჩემს კოლეგებს, რომლებიც გამოცდილ იურისტებად იწოდებიან საზოგადოებაში, უპირველესად ამაზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება. თუნდაც სააღსრულებო კანონი ავიღოთ, რომელიც ხელახლაა დასაწერი. სწორედ ამ კანონით აფარჩაკებდნენ ამ ქვეყნის მოქალაქეებს. სხვათა შორის, ასეთი კანონი ბევრია და აუცილებლად უნდა გავასწოროთ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ.



„კარგია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ამ დასკვნამდე მივიდა და ასეთ განცხადებებს აკეთებს... როცა ირაკლი ამბობს, „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არსებობს, ეს ძალა გაქრება საერთოდ, ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ არჩევნების შემდეგ სერიოზული შეტევა იქნება“

რაც შეეხება 4,5 მილიარდ დოლარს, ეს ფული აგვისტოს ომის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ მოგვცა ქვეყნის გადასარჩენად, მაგრამ სად დაიხარჯა? ეს იყო ნაწილი გრანტი, ხოლო ნაწილი – უპროცენტო გრძელვადიანი სესხი. მე ადრეც გითხარი და ვიმეორებ, როდესაც სააკაშვილი მობრძანდა, სახელმწიფოს ჰქონდა საგარეო ვალი 4 მილიარდი დოლარი, ახლა არის 11 მილიარდი დოლარი. მეტიც, „ნაციონალებმა“ კანონში ჩაწერეს, რომ სახელმწიფოს შეუძლია, აიღოს მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტი. თუ ვიანგარიშებთ, გამოდის 15 მილიარდი დოლარი. ესე იგი, ამათ ეს ვალი დააკანონეს და რომ არ გადაშენებულიყვნენ, 4 მილიარდს კიდევ აიღებდნენ.

**— ამ დროს ბიუჯეტი გვაქვს 7-მილიარდიანი.**

– დიახ, ჩვენმა ფინანსისტებმა ამ ყველაფერზე ხმამაღლა უნდა ილაპარაკონ. ხალხს უნდა გააცნონ, რა იყო და როგორ იყო. მე კარგად მახსოვს, ეს კანონი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო 2010 წელს და ყველაფერი ხელუხლებლადაა დარჩენილი.

**— სანამ კანონებს ჩაასწორებთ და მოსამართლეები გამოსწორდებიან, ჩვენ გაგვატყავებენ. რამდენი ჩვენნაირია ამ ქვეყანაში? ეს მოსამართლეები არ გამოსწორდებიან და რა ვქნათ?**

– კარგია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ამ დასკვნამდე მივიდა და ასეთ განცხადებებს აკეთებს. ეს გვაძლევს სტიმულს, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ რადიკალურად შევცვალოთ მიდგომები. როცა ირაკლი ამბობს, „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ არსებობს, ეს ძალა გაქრება საერთოდ, ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ არჩევნების შემდეგ სერიოზული შეტევა იქნება.

**— ცოტა ნაჩქარევი ხომ არ არის ასეთი გამონათქვამები?**

– აქ ორი მომენტია: პირველი – ირაკლი ღარიბაშვილი ასეთ განცხადებებს იმიტომ აკეთებს, რომ იშტაზე მოიყვანოს ჩვენი მხარდამჭერები; მეორე – არ მინდა, ეს ვერსია დავიჯერო და არ მინდა, რომ ასე იყოს... მას აწვდიან მცდარ ინფორმაციას, თითქოს ამ ქვეყანაში „ნაციონალები“ აღარ არსებობენ, საერთოდ გადაშენდნენ. ეგენი არც რაიონებში გამქრალან, არც ცენტრალურ რგოლებში და მეტიც, უკვე მუშტი-კრივზე გადმოდიან! წარმოიდგინე, 2012 წლის არჩევნებიდან 2-3 თვეში რომ რომელიმე „ნაციონალი“ პოლიტიკოსი გამოსულიყო და ვინმესთვის ხელი დაერტყა, რა მოხდებოდა – ხალხი გამოვიდოდა და ასფალტზე დაშტამბავდა, მაგრამ ახლა საქმე გვაქვს ნიჰილიზმთან. დაუკვირდი, ბათუმში ის ორი ახალგაზრდა მარტო დარჩა, ესეც დასაფიქრებელია.



„როდესაც სააკაშვილი მობრძანდა, სახელმწიფოს ჰქონდა საგარეო ვალი 4 მილიარდი დოლარი, ახლა არის 11 მილიარდი დოლარი. კანონში ჩაწერეს, რომ სახელმწიფოს შეუძლია, აიღოს მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტი. თუ ვიანგარიშებთ, გამოდის 15 მილიარდი დოლარი. რომ არ გადაშენებულიყვნენ, 4 მილიარდს კიდევ აიღებდნენ“

**— ბათუმელები ამბობენ, რომ „ნაციონალები“ ისე დაძვრებიან სადარბაზოებსა და სხვა ადგილებში, ვერ იგებენ.**

– კარგი, რა... მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას – ჩვენ ადგილებზე უნდა გვყავდეს ისეთი პარტიული აქტივისტები, რომლებსაც ყველაფერი ეცოდინებათ. უკაცრავად, მაგრამ, როცა ბათუმში ჩამოდის შენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ეს ინფორმაცია უნდა გქონდეს. რას ჰქვია, ინფორმაცია არ გაქვს, ახლა ვანში ვინ ჩადის, მაგას თუ ვერ გაიგებ, მაშინ რიღას მაქნისი ვარ? მაგალითად, როცა „ნაციონალები“ აპირებენ ჩასვლას, ორი დღით ადრე ვიცი ხოლმე. ეს ყველაფერი საიდან ვიცი, ამაზე არ ვილაპარაკებ. თუ ვერ იგებ, „ნაციონალები“ სად და როგორ დადიან, მაშინ მაგაზე პასუხს გაგცემს ამომრჩეველი 15 ივნისს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ოკუპირებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ აღიარების პერსპექტივა არ აქვთ“




საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, დავით ზალკალიანი დარწმუნებულია, რომ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების პერსპექტივა არ აქვთ.

„ჩვენ ამ პროცესებს ვაკონტროლებთ, ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ აფხაზეთში ერითრიის დელეგაციის ჩასვლა იყო დაგეგმილი, გამომდინარე იქიდან, რომ ერითრიის დელეგაციას ჰქონდა მანამდე შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ერითრიას აქვს ძალიან სერიოზული, მწვავე პრობლემები სანქციებთან დაკავშირებით, ასევე ეკონომიკური პრობლემები და ცდილობენ, ეს აიცილონ თავიდან“, – განაცხადა ზალკალიანმა.

მისივე თქმით, საგარეო უწყება ამ პროცესებს აკვირდება და მომავალშიც გააგრძელებს დაკვირვებას ევროპელ პარტნიორებთან იმისთვის, რომ არ მოხდეს აღიარების პროცესი.

„ჩვენ შეჩერებული გვაქვს აღიარების პროცესი, თუკი 2012 წლის ოქტომბრამდე ხუთ ქვეყანას ჰქონდა აღიარებული ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ორმა ქვეყანამ უკან წაიღო და ეს პროცესი შენელდა. მინდა დავარწმუნო ყველა, რომ ამ რეგიონებს აღიარების პერსპექტივა არ აქვთ“, – განაცხადა ზალკალიანმა.

ოკუპირებულ აფხაზეთში 10 ივნისს, პირველად ერითრიის დელეგაცია ჩავიდა. ერითრია არის სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, რომელმაც დამოუკიდებლობა 1993 წელს მოიპოვა. 2012 წლის 24 თებერვალს საქართველოსა და ერითრიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. ხელმოწერილი ოქმში აღნიშნულია ერთმანეთთან ურთიერთობებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპის შესახებ. (ნიუპოსტი)

## კობა ხარშილაძე პატიმრობაში რჩება



„გრინსერვის ჯგუფის“ საქმეზე დაკავებული, ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. პროცესზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ხარშილაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლისა და გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლების თაობაზე, შუამდგომლობას არც ბრალდების მხარე დაეთანხმა.

„თუ ვინმეს უნდა, რომ გარდაცვლილი პრემიერის საქმე იყოს გამოძიებული, ეს, პირველ რიგში, მე ვარ“, – განაცხადა ხარშილაძემ და ბრალდებას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა. (ნიუპოსტი)

## „პირადად პრემიერ-მინისტრს მოუწევს პასუხისგება“



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ბარბარე რაფალიანცისა და პაატა ქარდავას საქმეებს შორის მსგავსებას ხედავს და ხელისუფლებას წინასაარჩევნო პერიოდში ვითარების შეგნებულად დაძაბვაში ადანაშაულებს.

„მეორდება 2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩევნების ღამე, როდესაც დღევანდელმა ხელისუფლებამ სოფელ კოლაგში დამაბრალა 10 თვის ბავშვის მკვლელობა, ეს სჭირდებოდა ხელისუფლებას იმისთვის, რომ იცოდა, გურჯაანის რაიონს მე ვიგებდი. დღეს ხელისუფლება ხვდება, რომ თენგიზ გუნავას აქვს შანსი, მოიგოს ზუგდიდში არჩევნები და აბრალებს ამ ყოველივეს. პირადად პრემიერ-მინისტრს მოუწევს, აგოს პასუხი ამ ყოველივეზე“, – განაცხადა დეპუტატმა გიორგი ღვინიაშვილმა. (ნიუპოსტი)

## უსუფაშვილი ალბანეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ალბანეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს მიმი კოდჰელის შეხვდა. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება ნატო-ში ინტეგრაციის პროცესზე გაამახვილეს.

ალბანეთის თავდაცვის მინისტრმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნატო-ში ალბანეთის გაწევრების პროცესის შესახებ თავისი ქვეყნის გამოცდილება გაუზიარა და ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე ჩვენს ქვეყანას მხარდაჭერა აღუთქვა.

„საქართველო სწორ გზას ადგას და თქვენი ქვეყნის მიღწევები შთამბეჭდავია. ალბანეთი მხარს გიჭერთ და მოგიწოდებთ, რომ იყოთ მომთმენი და პრინციპული თქვენს მიზნებში“, – განაცხადა მიმი კოდჰელმა.

უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ ევროატლანტიკური კურსი, ქართველი ხალხის მტკიცე ნების გამოხატულებაა. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ნატო-ს მომავალი სამიტისგან საქართველო პრაქტიკულ და ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯებს ელოდება.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თავდაცვის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა მომავალში საპარლამენტო დონეზეც გაგრძელდება. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ „ნაცმოძრაობა“ რომ დაიშლება და ორად გაიყოფა, ამის შესახებ „ალია“ არაერთხელ წერდა. „ალიამ“ „ნაცმოძრაობის“ მთავარი ოფისიდან კულუარული ინფორმაციები მოიპოვა, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პარტიის დაშლის პროცესი გარდაუვალია და არჩევნების შემდეგ ეს რეალობა დაფიქსირდება. პარტიის შიგნით უკვე ცნობილია იმ პარლამენტარების, ყოფილი ჩინოვნიკებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ვინაობა, რომლებიც ახალი პარტიის წამყვანი სახეები იქნებიან. „ნაცმოძრაობის“ ნარჩენების ბაზაზე შექმნილ ამ პარტიას გიგა ბოკერია უხელმძღვანელებს. პარტიის თავმჯდომარე თავად არ იქნება, წინასწარი ინფორმაციით, პარტიის თავკაცად ამერიკაში მცხოვრებ რომელიმე წარმატებულ ქართველს შეარჩევენ და ამაზე უკვე მიდის მუშაობა. თავად ბოკერია პარტიის საგარეო ურთიერთობათა მდივნის პოსტს დასჯერდება და ისე მართავს პარტიას.

ამერიკელები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა ვერ მოხერხდება, იმდენად დაბალი რეიტინგი აქვს. მიხვდნენ იმასაც, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას იმდენი და ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, რომ ხალხს გული არც მომავალში მოუბრუნდება ამ პარტიის მიმართ და მასზე ყველანაირი ზრუნვა და ფულის დახარჯვა წყალში იქნება გადაყრილი. უიმედო ავადმყოფის გადასარჩენად კი პრაგმატიკოსი ინტერესებს. თუმცა მათ საქართველოს ინტერესების დასაცავად ხელი არ გაუტოკებიათ. მეტიც, ვნებისა და უბედურების მეტი ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის არაფერი მოუტანიათ.

ამ პარტიის მთავარი მიზანი, ცხადია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარ-

**„ნაცმოძრაობის“ ნარჩენების ბაზაზე შექმნილ ამ პარტიას გიგა ბოკერია უხელმძღვანელებს. პარტიის თავმჯდომარე თავად არ იქნება, წინასწარი ინფორმაციით, პარტიის თავკაცად ამერიკაში მცხოვრებ რომელიმე წარმატებულ ქართველს შეარჩევენ და ამაზე უკვე მიდის მუშაობა. თავად ბოკერია პარტიის საგარეო ურთიერთობათა მდივნის პოსტს დასჯერდება და ისე მართავს პარტიას“**



# ვინ იქნებიან გიგა ბოკერიას ახალი პარტიის ლიდერები?



**„სვანეთში, ევგენი აფრასიძისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ ჩატარებული ბარბაროსული სპეცოპერაციის გამოძიება, სავარაუდოდ, დაიწყება და დიდი შანსია, ამ სპეცოპერაციის მეთაურმა, გია ბარამიძემ ციხეში ამოყოს თავი“**

ამერიკელები არასდროს ირჯებიან. დღეს ევროპასა და ამერიკას საერთო ინტერესები და ხედვები აქვთ და ბოკერიას ძიძები არც ევროპაში მოაკლდებიან. მით უფრო, რომ გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსები ევროპელ კოლეგებთან რეკომენდაციებს არ დააამადლიან. სანაცვლოდ ბოკერია საქართველოში ევროპის ინტერესების დამცველიც იქნება, ანუ იგივე ფუნქცია დაეკისრება, რაც თავის დროზე „ნაცმოძრაობას“ ჰქონდა – ლიბერალური პოლიტიკური ხაზის გაძლიერება საქართველოში. გიგა ბოკერია და მისი გუნდის წევრები დღემდე თავგამოდებით იცავენ საქართველოში ცალკე ამერიკისა და ცალკე ევროპის მატების მიღწევა იქნება. იმ დროისთვის, „ნაცმოძრაობა“ ან იარსებებს და ან – არა. თუ „ნაცმოძრაობა“ მარტივ მამრავლებად არ დაიშლება და პარტიაში დარჩენილი ლიდერები შეძლებენ საკუთარი ძალებითა და ფინანსებით მის შენარჩუნებას, ბუნებრივია, ბოკერიას პარტიასთან ითანამშრომლებენ. თუმცა, სათუოა, იმ დროისთვის, თუნდაც გადარჩენილმა „ნაციონალებმა“ შეძლონ პარლამენტში მოხვედრა.

გიგა ბოკერიას, პრაქტიკულად, უკვე შეურჩევია მომავალი პარტიის ლიდერები. პარლამენტარი „ნაციონალებიდან“ მათი ვინაობა საზოგადოებისთვის უცხო ნამდვილად არ იქნება, ისინი ბოკერიას გუნდის წევრებად ითვლებიან და პოლიტიკურ კარიერასაც მას უნდა უმადლოდნენ. ბევრმა მათგანმა პოლიტიკაში მოსვლამდე, არასამთავრობო სექტორსა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სწორედ ბოკერიას ლობირებით მიაღწია წარმატებას. თუ წყაროს ინფორმაცია ზუსტია, ამ ეტაპზე ბოკერიას ახალი პარტიის ლიდერებად განიხილებიან: სერგო რატიანი, ზურაბ ჯაფარიძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გოგა ხაჩიძე, დავით დარჩიაშვილი, გოკა გაბაშვილი, ნუგზარ წიკლაური, აკაკი მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კანდელაკი, თინათინ ბოკუჩავა, დავით საყვარელიძე და გიორგი ვაშაძე. ამ სიაში, როგორც ხედავთ, არ არიან ბოკერიას მრავალწლიანი თანამებრძოლები, მასავით „თავისუფლების“ ინსტიტუტიდან“ გამოჩეკილი გიგი უგულავა და გივი თარგამაძე. უგულავა იმიტომ გარიყა ბოკერიამ, რომ მას ცალი ფეხი ციხეში აქვს და არ სურს, საკუთარ პარტიაში ისეთი ხალხი, ვისთანაც პროკურატურას კითხვები აქვს ან მომავალში გაუჩნდება. სწორედ ამის გამო, ბოკერიას ახალ გუნდში არ იქნებიან „ნაცმოძრაობის“ ის ლიდერები, რომელთაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი ანდა, ელიტურ კორუფციაში იხრჩობოდნენ. მათი შავბნელი საქმიანობის ყველა დეტალი ბოკერიამ კარგად იცის. მაგალითად, ბოკერიას ახალ გუნდში ყოფნა ძალიანაც უნდათ დეპუტატებს, გია ბარამიძესა და კახა ბუცხრიკიძეს, მაგრამ ბოკერიამ არც ერთი არ გაიკარა ახლოს. ბარამიძე იმიტომ, რომ სვანეთში, ევგენი აფრასიძისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ ჩატარებული ბარბაროსული სპეცოპერაციის გამოძიება, სავარაუდოდ, დაიწყება და დიდი შანსია, ამ სპეცოპერაციის მეთაურმა, გია ბარამიძემ ციხეში ამოყოს თავი. კახა ბუცხრიკიძე კი ბაჩო ახალაიას უახლოესი მეგობარია და „ციხის ბუნტის“ დროს მის მოადგილედ მუშაობდა. არაერთი მოწმე არსებობს, რომლებიც ბუცხრიკიძეს ადებენ ხელს, რომ „ციხის ბუნტისას“ ხელში იარაღი ეჭირა და სპეცრაზმელებთან ერთად ესროდა პატიმრებს. გარდა ამისა, მთავარ პროკურატურაში ბუცხრიკიძის წინააღმდეგ მოქალაქეთა რამდენიმე საჩივარია შესული, სადაც მას წამება-

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი აშშ-ის მთავრობასა და ხალხს სამძიმარს უცხადებს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმრის წერილს ავრცელებს:

„მინდა, დიდი მწუხარება გამოვთქვა ავღანეთში, „აისაფ“-ის მისიის მონაწილე 5 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის გამო. ჩვენ ვიცით, რამხელა ტკივილია თითოეული ჯარისკაცის დაკარგვა, რომლებიც სამშობლოდან შორის, მსოფლიოში მშვიდობისთვის ბრძოლაში იღუპებიან. პირადად ჩემი და საქართველოს მთავრობის სახელით გულწრფელად მინდა, მივუსამძიმრო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, მთელ ამერიკელ ხალხსა და დაღუპულთა ოჯახებს“, – ნათქვამია სამძიმრის წერილში. (ნიუპოსტი)

## თვითმფრინავის გატაცების მცდელობაში ბრალდებულის ოჯახი კომენტარს აკეთებს



თვითმფრინავის გატაცების მცდელობის ბრალდებით ბელორუსში დაკავებული გელა სახელაშვილის ოჯახი მომხდართან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს. მათი თქმით, აღნიშნული ინფორმაცია მედიის საშუალებით გაიგეს და ხელისუფლების წარმომადგენლებიდან ოჯახის წევრებს არავინ დაკავშირებია.

„ცუდი სიმთვრალე ჰქონდა და სანამ თვითმფრინავში ჩაჯდებოდა, კიდევ არაყი დაულევია. მინსკში მიფრინავდა, სადაც მუშაობა უნდა დაეწყო. მისი ცოლი და ბავშვი ავად არიან, ამიტომ ფული სჭირდებოდა. ევროპაში არაფერი ესაქმებოდა. უბრალოდ, როცა დათვრებოდა, ვერ ვიმორჩილებდით. ახლა რით ვუმკურნალოთ მის ცოლსა და შვილს, აზრზე არ ვართ, არც ის ვიცით, თვითონ როგორაა. ერთადერთი ინფორმაცია, რაც ტელევიზიით გავიგეთ, ის არის, რომ მინსკშია დაკავებული“, – აცხადებს ოჯახის ერთ-ერთი წევრი რეზო კუბლაშვილი. (ნიუპოსტი)

## კახა კალაძეს აქცია მოუწყვეს



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრსა და ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ წევრებმა აქცია მოუწყვეს. აქციის მონაწილეებმა 26 მაისთან დაკავშირებით კალაძის განცხადება გააპროტესტეს.

„მან ერთი ერთში გაიმეორა ის რიტორიკა, რომელიც ჰქონდა და აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“. მან თქვა, რომ ბურჯანაძემ ხალხი მიატოვა და ა.შ. ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ის აქტიური მხარდამჭერი იყო სააკაშვილის ხელისუფლების. როდესაც კალაძემ მსგავსი განცხადებები გააკეთა, ქობულეთისა და ბათუმის აღშფოთებული მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ ეს გაეპროტესტებინა. მივედით სასტუმროსთან და მოვითხოვეთ, რომ კალაძე რამდენიმეს მარტო შეგვხვედროდა, თუმცა უარი თქვა. მე პირადად ვიყავი 26 მაისის მონაწილე და მინდოდა მისთვის მეთქვა, რეალურად რა მოხდა“, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. (ნიუპოსტი)

## ბორჯომში გერმანელი ექსპერტი დაიკარგა



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში 73 წლის გერმანელი ექსპერტი ჰანს ჰოეფლე დაიკარგა. შემთხვევა ოთხი დღის წინ მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ჰოეფლე ბოლოს 8 ივნისს სამეცხვარიოს და ლომისმთის მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნეს. გერმანელი ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობს. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

ში, არაადამიანურ მოპყრობაში და მუქარით ბიზნესისა და კერძო ქონების გამოძალვაში სდებენ ბრალს. კოჰაბიტაციის პროცესის უსასრულოდ გაგრძელება რომ არა, ბუცხრიკიძეს, წესით, დეპუტატის იმუნიტეტიც მოხსნილი უნდა ჰქონდეს და დაჭერილიც უნდა იყოს. სავარაუდოდ, მომავალში პროკურატურა მიაკითხავს კახა ბუცხრიკიძეს და პასუხსაც მოსთხოვს წარსულში ჩადენილ ავკაცობაზე. ბოკერიას უჭკუობას ნამდვილად ვერ დავწამებ, არც შორსმჭვრეტელობა აკლია და „მოსიარულე ნაღმებს" ახლოს არ აკარებს ახალ გუნდს. გივი თარგამაძეს რაც შეეხება, ის გიგა ბოკერიას ძმაკაცია, მაგრამ იმდენად ნეგატიური ფიგურაა, რომ ნებისმიერ უმწიკვლო პარტიასაც შეულახავს იმიჯს, არამც თუ ბოკერიას ისედაც იმიჯწამხდარი პოლიტიკოსებით დაკომპლექტებულ გუნდს. ბოკერია ვარაუდობს, რომ ვის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, მათი „გათეთრება" შესაძლებელია, ამისთვის დრო და ეფექტური პიარია საჭირო. აი, გივი თარგამაძეს კი, რომელიც ქართველ ხალხს სულის ამოხდით ემუქრებოდა, ვერანაირი პიარი ვერ უშველის. „ნაცმოძრაობის" დეპუტატებიდან კიდევ რამდენიმე ადამიანი განიხილება ბოკერიას პარტიის ლიდერად, მათთან მოლაპარაკებები ჯერ არ მიმდინარეობს იმის გამო, რომ ისინი უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის გუნდის წევრები, მისი ერთგულები არიან და მისივე ნებართვის გარეშე პარტიის მიტოვებას არ აპირებენ.

კულუარული ინფორმაციით, თეთრ სახლში უკვე გადაწყვიტეს, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკას უნდა ჩამოსცილდეს. მას ამერიკაში სოლიდურ სამსახურს ან, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში 4-წლიანი ვადით არჩევით პოსტს სთავაზობენ. ამერიკელები ფიქრობენ, რომ სააკაშვილი არა მხოლოდ საქართველოსთვის იქცა დესტრუქციულ პოლიტიკოსად, ზოგადად, მისი აქტიურობა თავისუფალი პოლიტიკოსის რანგში, არ შედის ამერიკის ინტერესებში. ცხადია, სააკაშვილი საკუთარი პატრონების წინააღმდეგ ვერ წავა, ამერიკელებმა შექმნეს მიშა და დღემდე პატრონობენ, ციხეში რომ არ ზის, მათი დამსახურებაა. სააკაშვილი ხელშეუხებლობის გარანტიებსაც მიიღებს და ისე წავა პოლიტიკიდან.

ძალიან მალე მიშას ამერიკაში დაიბარებენ და კატეგორიულად განუცხადებენ, რომ მისი დრო დასრულდა და პოლიტიკას უნდა ჩამოსცილდეს. ეს, ფაქტობრივად, ბრძანება იქნება და სააკაშვილი მას უსიტყვოდ დაემორჩილება. ბოკერია სწორედ ამ დღეს ელოდება. მიშა როცა წავა პოლიტიკიდან, ლიდერის გარეშე დარჩენილ „ნაცმოძრაობის" წევრებსაც ხელ-ფეხი გაეხსნებათ, მასთან აღარანაირი პოლიტიკური ან პიროვნული ანგარიშვალდებულება აღარ ექნებათ, აღარც მისი ნებართვა დასჭირდებათ პარტიის დასატოვებლად და არჩევანში თავისუფლები იქნებიან. ამის შემდეგ არც „ნაცმოძრაობის" მიტოვება და ბოკერიას გუნდში გადასვლა გაუჭირდებათ. როცა ეს დრო მოვა, ბოკერია საკუთარ გუნდში გადაყვანას უპირებს პეტრე ცისკარიშვილს, შოთა მალაშხიას, ირმა ნადირაშვილს და ზურაბ მელიქიშვილს.



„რაც შეეხება გივი თარგამაძეს, ის გიგა ბოკერიას ძმაკაცია, მაგრამ იმდენად ნეგატიური ფიგურაა, რომ ნებისმიერ უმწიკვლო პარტიასაც შეულახავს იმიჯს, არამცთუ ბოკერიას ისედაც იმიჯწამხდარი პოლიტიკოსებით დაკომპლექტებულ გუნდს"

ეს რაც შეეხებათ „ნაცმოძრაობის" იმ დეპუტატებს, რომლებიც გიგა ბოკერიას ახალი გუნდის წევრებად განიხილებიან. მათ გარდა, ამ გუნდში სხვა, ახლო წარსულში ცნობილი პოლიტიკოსები, „ნაცმოძრაობის" მმართველობის დროინდელი ჩინოვნიკები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მოიაზრებიან. ბოკერიას ახალი პარტიის ლიდერებად განიხილებიან განათლებისა და თავდაცვის ყოფილ მინისტრი დიმიტრი შაშკინი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი – გრიგოლ ვაშაძე და ეკა ტყეშელაშვილი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი სანდრო კვიტაშვილი, განათლების ყოფილი მინისტრები – გია ნოდია და ხატია დეკანოიძე, ყოფილი პარლამენტარები – ნინო კალანდაძე, ვახტანგ ბალავაძე, ირაკლი ქავთარაძე, ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე, ლევან თარხნიშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ანდრო ბარნოვი, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე შოთა ხიზანიშვილი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე თამარ ბურჯალიანი, უშიშროების საბჭოს ყოფილი წევრები – თამარ კინწურაშვილი, ბათუ ქუთელია და დავით სიხარულიძე, გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ადვოკატი ოთარ კახიძე, ილიას უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გიგი თევზაძე, ეკა კვესიტაძის მეუღლე, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი შოთა უტიაშვილი, ბაჩო ახალაიას ადვოკატი გოგა ონიანი, რომელიც აკაკი მინაშვილის სიძე, დის ქმარია, თეა თუთბერიძე, „თავისუფლების ინსტიტუტის" პირმშო, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გიორგი მელაძე, ბოკერიას მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის, „დროას" ლიდერი თეონა ჭალიძე, მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი, „ნაცმოძრაობის" პოლიტსაბჭოს წევრები ზაზა ბიბილაშვილი, დავით დარსმელიძე, ნინო კანდელაკი, ქეთევან მჭედლიძე და ირაკლი ნადირაძე. შესაძლოა, გიგა ბოკერიას ახალ პოლიტიკურ გუნდში უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, კახა ლომაიაც ვიხილოთ, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს და გაეროში მუშაობს. ზემოჩამოთვლილთა გარდა, ახალ პარტიაში ე.წ. „ნაცმოძრაობის" ექსპერტებიც მოიაზრებიან სხვადასხვა სფეროდან. ქართველი საზოგადოება გიგა ბოკერიას მომავალი პარტიის ყველა პოტენციურ ლიდერს მეტ-ნაკლებად იცნობს. ეს ის ხალხია, რომელთაც საქართველოში მახინჯი, ვითომ ლიბერალური, სინამდვილეში ფსევდოლიბერალური იდეოლოგია აქციეს სახელმწიფო იდეოლოგიად და მას დაუქვემდებარეს ყველაფერი. სწორედ მათმა ამ იდეოლოგიამ გადააგვარა ქვეყანა. ეს ის ხალხია, რომელთაც დაანგრიეს განათლებისა და მეცნიერების სისტემა, პროფანაციად აქციეს ქართული კულტურა და ახალი ჯიშის ქართველებს – გაუნათლებელ და უკულტურო ინდივიდებს გაუკაფეს გზა ყველა სფეროში. ეს ხალხი წლების მანძილზე გააფთრებით ებრძოდა ქართულ ეკლესიასა და უშუალოდ, კათოლიკოს-პატრიარქს და ჩვენდა საბედნიეროდ, საბოლოოდ დამარცხდნენ და 2012 წლის არჩევნებით ხალხმა მოიცილა ხელისუფლებიდან. თუმცა მოახერხეს და ქვეყანაში სფერო არ დატოვეს, თავიანთი ბარბაროსული კვალი რომ არ დაემჩნიათ. სწორედ ამ ხალხმა აჰყარა ღირსება ქართველი ხალხის დიდ ნაწილს, შანტაჟი, ჩაშვება უქცია ცხოვრების წესად და ტრადიციულ, ზნეობრივ ღირებულებებზე ხელი ააღებინა. ამ ადამიანების იდეოლოგია ედო საფუძვლად „ნულოვანი ტოლერანტობის" იმ პოლიტიკას, რომლის შედეგადაც ციხეები გაივსო და ევროპაში საქართველო პირველ ადგილზე გავიდა ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით. ამ ადამიანებს ეყრდნობოდა სააკაშვილის არაადამიანური რეჟიმი და მის ყველაზე სასტიკ დანაშაულსაც ამართლებდნენ დემოკრატიის ლოზუნგით.



„თეთრ სახლში უკვე გადაწყვიტეს, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკას უნდა ჩამოსცილდეს. მას ამერიკაში სოლიდურ სამსახურს, ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში 4-წლიანი ვადით არჩევით პოსტს სთავაზობენ. ამერიკელები ფიქრობენ, რომ სააკაშვილი არა მხოლოდ საქართველოსთვის იქცა დესტრუქციულ პოლიტიკოსად, ზოგადად, მისი აქტიურობა თავისუფალი პოლიტიკოსის რანგში, არ შედის ამერიკის ინტერესებში"

შორს წაგვიყვანს იმ საშინელებათა ჩამოთვლა, რაც გიგა ბოკერიამ და მისმა თანამოაზრეებმა ხალხსა და ქვეყანას დამართეს. „ნაცმოძრაობის" ყველაზე რადიკალურ და ქართველთმოძულე ფრთას ცალკე პარტიად ჩამოყალიბება არ უშველის. ამერიკელთა გეგმას, ახლო მომავალში ფერნაცვალი „ნაცმოძრაობა" დააბრუნოს ხელისუფლებაში, ახდენა არ უწერია, თუკი მოსახლეობა არჩევნებზე თავს არ მოიტყუებს კიდევ ერთხელ.

**ხათუნა ელბაქიძე**
*591 41-27-97*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დარღვევები გამოავლინა

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ქალაქის რამდენიმე უბანში მონიტორინგის შედეგად დარღვევები გამოავლინეს.

სააგენტოს ინფორმაციით, სადგურ „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორიაზე, სუპერმარკეტ „მარიამიდან" და მარჯანიშვილის ქუჩაზე ი/მ „მევლუდ ხარაიშვილის" ხორცის სარეალიზაციო ობიექტიდან ამოღებულია საეჭვო წარმომავლობის ხორცი, რომელიც არ იყო დადამღული.

„ბიზნესოპერატორებმა ვერ წარმოადგინეს ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2, რის გამოც, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაჯარიმდნენ 1000-1000 ლარით. ხორცი დაილუქა და კანონის შესაბამისად განადგურდება.

ეტიკეტირების წესის დარღვევით სასურსათო პროდუქტების რეალიზაციისთვის 400-400 ლარით დაჯარიმდნენ: გლდანის მე-5 მიკრორაიონში მდებარე შპს „პურის სამყაროს" სუპერმარკეტი, აბუსერიძე-ტბელის ქუჩაზე – შპს „კარაქი" და დიღმის მასივში – ი/მ „ქსენია ჩიქოვანი", ხოლო დავით აღმაშენებლის ხეივანში მდებარე ჰიპერმარკეტი „კარფური" ეტიკეტირების წესის განმეორებითი დარღვევისთვის დაჯარიმდა 1200 ლარით.

მიუხედავად სურსათის ეროვნული სააგენტოს არაერთი განცხადებისა, სურსათის მწარმოებელ მეწარმეთა ნაწილი კვლავ აგრძელებს საქმიანობას ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე. ხიზანიშვილის ქუჩაზე – ი/მ „ბესარიონ ტეტიაშვილი", გლდანის მე-3 მიკრორაიონში – ი/მ „დიმიტრი ჩიკვილაძე", დიღმის მასივში – შპს „გიოდათი" ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის 500-500 ლარით დაჯარიმდნენ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა დიდი რაოდენობით ვადაგასული სურსათი ამოიღეს გლდანის მასივის 1 მიკრორაიონში მდებარე შპს „თეთრი 2012"-ის მარკეტიდან, მარჯანიშვილის ქუჩაზე – შპს „მალიდან", დიღმის მასივში – ი/მ „ფარნაოზ შანავას" სასურსათო მაღაზიიდან. ვადაგასული სურსათი დაილუქა და კანონის შესაბამისად განადგურდება, მეწარმეებს კი საჯარიმო სანქციები დაეკისრათ", – ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ალასანია ტვინგაყინულებისთვის განმარტებას აკეთებს



„ყველაზე ტვინგაყინულებისთვის კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ეს არის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სისტემა და არაფერი აქვს მას საერთო ანტისარაკეტო სისტემასთან", – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ალბანელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ. მინისტრი არ აკონკრეტებს, ვისთან აწარმოებს ქართული მხარე თავდაცვითი სისტემების შესახებ მოლაპარაკებებს, თუმცა ამბობს, რომ მოლაპარაკებების დასრულება რაციონალურ ვადებში მოხდება. (ნიუპოსტი)

## ლაკაევს 12 წელი მიუსაჯეს



ბათუმის საქალაქო სასამართლომ ლაკაევის, ბახუნტარაძისა და წულუკიძის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა.

მოსამართლე დავით მამისეიშვილმა იუსუფ ლაკაევს – 12 წლით, ფირუზ წულუკიძეს – 2 წლით, თემურ ბახუნტარაძეს კი 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასევე 2-2-ათასლარიანი ჯარიმა დაეკისრათ წულუკიძესა და ბახუნტარაძეს.

მათ გამოძიება იარაღის უკანონოდ შენახვას, მიგრანტის უკანონო დახმარებასა და პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის გაწევას ედავებოდა. იარაღის შენახვის ნაწილში ისინი გაამართლეს, ლაკაევის მფარველობაში კი – გაამტყუნეს. (ნიუპოსტი)



# რატომ არ მოწმდება უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტის ხარისხი?

**„ალიას“ ესაუბრება „ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელი“ გიორგი ბურჯანაძე:**

– ეს ამბავი დაიწყო იქიდან, რომ თებერვალში ორგანიზაციაში მივიღეთ ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი სახეობის ყავის შემადგენლობაში შედიოდა ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებები და გადასამოწმებლად მივმართე სოფლის მეურნეობის მინისტრს. მქონდა გარკვეული ინფორმაცია, რომ იქ ლაბორატორიული კვლევა არ ხდებოდა და საერთოდ, ჩემს კითხვაზე პასუხს ვერ მივიღებდი. ამიტომ სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს კი არა, პირდაპირ მინისტრს მივმართე თხოვნით და მალე ჩვენი თხოვნა მინისტრიდან გადაეწერა ჩეკურიშვილის სააგენტოს და დაახლოებით 10 დღეში მივიღეთ პასუხი, რომ აღნიშნულ ნივთიერებებზე გამოკვლევა არ მოხერხდებოდა. ამ დროს ჩვენ გვინდოდა ყავის ქიმიურ შემადგენლობაზე ლაბორატორიული გამოკვლევა და აქ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ იმ ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ იყოს ევროპული ქვეყანა და შექმნას ევროპული ღირებულებები, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

– სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას. კითხვას ვსვამ, რას იღებენ საკვებად ჩვენი მოქალაქეები? ყოვლად უვარგის საკვებს, ქართველი ერის წინააღმდეგ მიმდინარეობს ბიოლოგიური ომი, სადაც წაგებულები ვართ ქართველები. მინდა ერთი ასეთი რამ გითხრათ: სტატისტიკურად ბოლო წლების განმავლობაში ძალზე იმატა სიმსივნურმა დაავადებებმა და სპეციალისტებთან გასაუბრების შემდეგ დაგვიდასტურეს, რომ ეს დაავადებები მოდის მიღებული საკვების 70 პროცენტიდან. ესაა ის პროდუქტი, რომლებიც ევროპის ქვეყნებში ვადაგასულია და შემოედინება საქართველოსნაირ ქვეყნებში მაშინ, როცა უზარმაზარ დაფინანსებებს იღებენ? ესაა ხალხის ჯიბეებიდან ამოღებული თანხები და ეს უწყება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა ვიღაცის ოჯახებსა და ინტერესებს. შეუძლებელია, ამ სამსახურში მომუშავე ადამიანი არ ხედავდეს იმპორტიორების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას, რომლებიც საქართველოში უვარგის პროდუქციას ასაღებენ. მე თუ ვხედავ და ჩვენნაირი ადამიანები თუ ხედავენ საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაშინ, როცა მილიონობით ფინანსდება, უამრავი შემოსავალი აქვს და ეს დარგი ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყანაში, არ გააჩნია ლაბორატორია.

**— რას ჰქვია, არ გააჩნია, აბა, ვაშლიჯვარში უახლესი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია ვისია?**

– მაგასაც გეტყვით, რა ხდება. ინფორმაცია მაქვს ასეთი, რომ შარშან ჩამოვიდნენ ამერიკელი სპეციალისტები ამ ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის სანახავად და გაოცებულები დარჩნენ, იმიტომ რომ იქ აპარატურა კი შესაბამისი დახვდათ, მაგრამ სპეციალისტები არ ჰყავთ ამ აგრეგატებზე სამუშაოდ და არც უნდათ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპეციალურად და გამიზნულად ხდება ამ სფეროს შეფერხება და ასევე, განგებ ქმნიან პრობლემას, რომ აღნიშნულ დარგში მომხმარებელი იყოს დაუცველი.

**— ეს ბრალდებაა, თან სერიოზული...**

ბაზარზე არსებულ უდიდეს პრობლემებს, სამსახურებიც უნდა ხედავდნენ ამ პრობლემებს და თავადვე უნდა აღმოფხვრან.

**— ვაშლიჯვრის ლაბორატორიის გარდა, არსებობენ პატარა ლაბორატორიები და იქ რა ხდება?**

– რაც შეეხება საქართველოში არსებულ კომერციულ, ე.წ. კერძო ლაბორატორიებს, ყველა არის ვიღაცის ბიზნესინტერესების გამტარებელი. ანუ, მათ უკან დგანან კონკრეტული ბიზნესოპერატორები და ამაყად აცხადებენ, აგერ, ბატონო, ჩვენ ლაბორატორია გვაქვს და რა გინდათო. „ვაკესაც“ აქვს თავისი ლაბორატორია, მაგრამ არის მისი პროდუქტი ნორმალური? ხომ აღმოაჩინეს, რომ მისი წარმოებული ზოგიერთი პროდუქტი უხარისხო იყო და რამდენიმე ადამიანი დააკავეს კიდეც. ჩვენ სულ ახლო მომავალში დაგიდებთ მასალებს, რომელი ლაბორატორიის უკან ვინ დგას, ამაზე ახლაც ვმუშაობთ და თავად ნახავთ ყველაფერს. ჩვენ კი გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არაფერი გამოვიკვლიოთ, გამოსაკვლევად მივმართავთ ევროპის ქვეყნების ლაბორატორიებს და იმ ქვეყნებსაც ჯერჯერობით არ დავასახელებთ, რადგანაც ამ ბიზნესს იმხელა თათები აქვს, იქაც გადასწვდებიან. ჩვენ სხვადასხვა ლაბორატორიებთან დავდეთ ხელშეკრულებები და ახლო მომავალში გამოვავლენთ ისეთ ფირმებს, ყველას რომ გვგონია, რომ წამყვანი კომპანიები არიან და იმედს რომ ვამყარებთ მათ კეთილსინდისიერებაზე და ისინი იქნებიან მხილებულები სწორედ ამ კორუფციულ გარიგებებში, რომლითაც ხალხი იწამლება! საერთოდ, საკვებ პროდუქტზე მომუშავე ყველა კომპანია ვალდებულია, თუკი მას პრეტენზია აქვს მეწარმეობაზე, ჰქონდეს თავისი ლაბორატორია, მაგრამ ეს ლაბორატორიები რამდენად ავლენენ პრობლემებს, ეგაა მთავარი. ვიმეორებ, სულ ახლო მომავალში დაგიდებთ ამ სიას.

**— მეც ვიმეორებ, ეს სერიოზული ბრალდებებია.**

– ვიცი, მაგრამ წლებია, საპატრიარქო და ჩვენნაირი ორგანიზაციები ვყვირით, ვღაღადებთ და ვეხვეწებით ხელისუფლებას, რომ მოხდეს სოფლის მეურნეობის განვითარება, დაბრუნდეს ხალხი სოფელში და მივხედოთ ჩვენს პროდუქტს, არ არის დრო? სომხეთიდან და თურქეთიდან შემოტანილი კიბოიანი კარტოფილი რომ ღირს ლარი და ჩვენი მოყვანილი კარტოფილი რომ ორი ლარია, როგორ გადავიტანოთ ეს? მე ვიყავი თურქეთში ჩასული, იქაურმა კაცმა პომიდორი მაჩვენა და მითხრა, რომ ამას ჩემი მეზობელი ახლა აგზავნის თქვენთან და იგივე პამიდორი რომ სუფრაზე დადოს მისმა ხანუმამო, იმას თავს წააგდებინებს, რადგანაც მოწამვლის შეეშინდებაო.

**— თავად იმ პროდუქტს არ ჭამენ?**

– როგორ გეკადრებათ! აქვთ თავისთვის ბაღჩები და საკუთარი მოხმარებისთვის მოჰყავთ სხვა პომიდორი. ეს შხამქიმიკატებით

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით ცინდელიანის მშობლები თენგიზ გუნავასთან შეხვედრის დეტალებს არ ასაჯაროებენ



გაუჩინარებულ რეინჯერ დავით ცინდელიანის მშობლები „ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის გამგებლობის კანდიდატთან და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროს თენგიზ გუნავასთან შეხვედრის დეტალებს არ ასაჯაროებენ.

დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ, რომელიც მედიისთვის უცნობ ადგილზე მიმდინარეობდა, მშობლებმა მედიისთვის მხოლოდ ზოგადი კომენტარი გააკეთეს და აღნიშნეს, რომ მათი მოთხოვნა ყველა იმ დამნაშავე პირის დასჯაა, რომელიც მათი შვილის მკვლელობის საქმეში ფიგურირებს.

კომენტარი გააკეთა თავად თენგიზ გუნავამაც, რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს „ერთუჯრედიანი“ უწოდა და აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს.

„სწორედ ირაკლი ღარიბაშვილმა მახსენა პირველად გაუჩინარების საქმეებთან დაკავშირებით და ამის შემდეგ დაიწყო ჩემს წინააღმდეგ აქციები. მზად ვარ, პასუხი ვაგო ყველა დანაშაულზე, თუმცა მე ქვეყნის, ამ ოჯახებისა და საკუთარი თავის წინაშე სუფთა ვარ. კეთილი ინებონ და გამოიძიონ ეს საქმეები ობიექტურად“, – განაცხადა გუნავამ.

შეგახსენებთ, რომ გაუჩინარებული დავით ცინდელიანისა და პაატა ქარდავას ოჯახების წევრები და ნათესავები „ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ოფისთან დღის განმავლობაში საპროტესტო აქციას მართავდნენ. ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებულნი, რომლებიც აქციის მონაწილეებს პარტიის ოფისთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. ადგილზე პოლიციის დამატებითი ჯგუფები გამოიძახეს. აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის შეხლა-შემოხლასაც ჰქონდა ადგილი.

ამის შესახებ გუნავამ „ფრონტნიუსს“ ცინდელიანის ოჯახის წევრებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

„ვისაუბრეთ. სინდისი დავიფიცე, რომ არაფერ შუაში ვარ. ვუთხარი, რომ მეც მომხრე ვარ ობიექტური გამოძიების და ამასვე ვითხოვ – დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც დამნაშავეა. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ხელისუფლება გამწარებული ოჯახებით მანიპულირებს და ვთხოვე, რომ მათ თავი არ გამოაყენებინონ“, – განაცხადა თენგიზ გუნავამ. (ფრონტნიუსი)

## დარიალის ხეობაში გზების რეაბილიტაციისთვის 7 მილიონი გამოიყო



ამის შეახებ პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილ განკარგულებაშია ნათქვამი.

„პირველ ეტაპზე დაგეგმილია ავტოტრანსპორტის დროებითი განვლადობის უზრუნველყოფის მიზნით გადაუდებელი სამუშაოები, ხოლო მეორე ეტაპზე – დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ავტოტრანსპორტის დროებითი განვლადობის უზრუნველყოფის მიზნით პირველ ეტაპზე განსახორციელებელი გადაუდებელი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო და საპროექტო მომსახურების შესყიდვისთვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გამოუყოს 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარი“, – ნათქვამია განკარგულებაში. (ნიუპოსტი)

## „აეროფლოტი“ თბილისი-მოსკოვის მიმართულებით რეგულარული რეისების შესრულებას განაახლებს




რუსეთის საჰაერო ტრანსპორტის ფედერალურმა სააგენტომ ავიაკომპანია „აეროფლოტზე“ მოსკოვი-თბილისის მიმართულებით რეგულარული რეისების შესრულების ნებართვა გასცა.

როგორც უწყების საიტზე განთავსებულ განცხადებაშია ნათქვამი, ნებართვა მას მერე გაიცა, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ოფიციალური დასტური იქნა მიღებული.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო სივრცე 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად დაიხურა, 2010 წლიდან კი ჩარტერული რეისები განახლდა. (ფრონტნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

მოყვანილი პამიდორი კი ჩვენთან შემოდის და ჩვენ გვწამლავს. ეს თურქი მერე ჩემთან იყო ჩამოსული სტუმრად და გასკდა ეს კაცი ჭოპორტის ვარდისფერი პომიდვრის ჭამით. თარჯიმანს ვკითხე, პირველად ხედავს პომიდორს-მეთქი? მიპასუხა, ბავშვობაში რომ გემო მახსოვს, თქვენს პროდუქტს ის გემო ვუნახე და არ იცით, რა გაქვთო. იმის თქმა მინდა, რომ ის პროდუქცია, რაც იმპორტირებულია საქართველოში, 80 პროცენტი უვარგისია, მაშინ, როცა საპატრიარქო ყვირის, რომ საქართველოს შეუძლია არა მარტო საკუთარი მოსახლეობის გამოკვება, არამედ ექსპორტზე გატანაც და გარწმუნებთ, ჩვენნაირი პროდუქტი სანატრელი ექნება ყველას, ვინც ნახავს. თუკი რეალობად გადაიქცევა ის დაპირებები, რაც მარტო ფურცელზეა დაწერილი.

**— ლაბორატორიით დავიწყეთ და ისევ ამ თემას მივუბრუნდეთ, რატომ არ არის დაინტერესებული სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომ არ ჰყავდეს სპეციალისტები?**

– იმიტომ, რომ ეს ბაზარი ავლენს იმ უვარგის პროდუქტს, რაც ჩვენთან შემოდის. მაგალითად, არსებობს კომპანია, არ დავასახელებ და თავად მიხვდება, რომელიც ახდენს ქათმების იმპორტს საქართველოში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, როცა ბოლო ერთი თვე დარჩება რეალიზაციის დროის ამოწურვისა, ევროპის მარკეტებიდან იღებენ ამ პროდუქტს, ამას ყიდულობენ ჩვენები და აქ ხდება ხელახალი შეფუთვა და შემდეგ მისი რეალიზაცია. იქ რომ ლამისაა ვადა გაუვიდეს, აქ იმ ქათამს ერთწლიან ვადას აკრავენ ჩვენები და ყიდიან. ეს ეხება, ასევე, საბავშვო შოკოლადებს, კოსმეტიკას, ჰიგიენურ საშუალებებს და მათი ვადის შეცვლას კი არაფერი უნდა. ეს შტამპები საკანცელარიო მაღაზიებში იყიდება, ჩვენ გამოვითხოვეთ ამ მაღაზიებიდან ეს ინფორმაცია და



**„როცა ბოლო ერთი თვე დარჩება რეალიზაციის დროის ამოწურვისა, ევროპის მარკეტებიდან იღებენ ამ პროდუქტს, ამას ყიდულობენ ჩვენები და აქ ხდება ხელახალი შეფუთვა და შემდეგ მისი რეალიზაცია. იქ რომ ლამისაა ვადა გაუვიდეს, აქ იმ ქათამს ერთწლიან ვადას აკრავენ ჩვენები და ყიდიან“**



„საპატრიარქო ყვირის, რომ საქართველოს შეუძლია არა მარტო საკუთარი მოსახლეობის გამოკვება, არამედ, ექსპორტზე გატანაც და გარწმუნებთ, ჩვენნაირი პროდუქტი სანატრელი ექნება ყველას, ვინც ნახავს“

მათ დაგვიდასტურეს, რომ ბოლო პერიოდში იმრავლა ამ შტამპებზე მოთხოვნამო. ანუ, ფალსიფიკაციის საშუალებები იყიდება და ამას, დროა, მიეხედოს.

**კომენტარისთვის ვუკავშირდებით ვაშლიჯვრის ლაბორატორიის ხელმძღვანელს ლალი მაძღარაშვილს:**

– ჩვენთან ნებისმიერი პროდუქტი, მათ შორის საკვები, იზომება რომელიმე არსებული სტანდარტის, ან რაიმე კონკრეტული მახასიათებლის მიხედვით. იმისთვის, რომ განისაზღვროს ამა თუ იმ პროდუქტის მახასიათებელი, უნდა გვითხრან კონკრეტულად, ან უნდა არსებობდეს ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ამას განსაზღვრავს. გია ბურჯანაძის წარმომადგენლები ორი, თუ სამი თვის წინ მობრძანდნენ ლაბორატორიაში და მოითხოვეს განუსაზღვრელად ყავის ხარისხის იდენტიფიცირება. როცა ვუთხარით, რომ ასეთი რამ არ კეთდება, რადგანაც არ არსებობს ქვეყანაში ტექნიკური რეგლამენტი და ჩვენ კვლევით ვეტყოდით, მოცემული პროდუქტი არის თუ არა ყავა, ეს ხალხი დაიბნა. თქვეს, წავალთ და უკეთესად გავარკვევთ, რა გვინდა და მერე მოგაკითხავთო. ლაბორატორიამ შესთავაზა მათ იგივე მძიმე მეტალების შემცველობაზე სინჯი და დაგვთანხმდნენ, ოღონდ გავარკვევთ, ეს გვჭირდება თუ არაო და წავიდნენ, ესაა ისტორია. რაც შეეხება ბიოლოგიური ომის გამოცხადებას ქართული ბაზრის მიმართ, ამაზე რა გითხრათ, ყველას აქვს უფლება, რაც უნდა უნდა, ის იფიქროს ინდივიდუალურად.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აკაკი ასათიანი: „ქართული ოცნება“ მოსწყდა რეალობას და მაღალი პროცენტით გამარჯვებას ვეღარ შეძლებს“



„ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერ აკაკი ასათიანის განცხადებით, „იგრძნობა, რომ „ქართული ოცნება“ მოსწყდა რეალობას“. ასე შეაფასა ასათიანმა „რეპორტიორის“ პრესკლუბში წინასაარჩევნო გარემო.

როგორც „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი ვარაუდობს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნება“ ლიდერობას შეინარჩუნებს, თუმცა მის მიმართ ამომრჩევლების ნდობა შემცირებულია.

„კოალიცია „ქართულ ოცნებას“ საგრძნობლად შეუმცირდა მხარდამჭერები, რადგან არ ჰქონდა მთავრობაში მოსვლის მზაობა. ისინი ხალხის პრობლემებს საგრძნობლად დასცილდნენ. მე ვრჩები დღევანდელი მთავრობის გულშემატკივრად, თუმცა ვთვლი, რომ არჩევნებზე ამომრჩევლების დაბალი აქტიურობაა მოსალოდნელი და არსებული მთავრობა მაღალი პროცენტით გამარჯვებას ვეღარ შეძლებს“, – დასძინა მან. (ფრონტნიუსი)

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ შესაძლოა, მერაბ ბაღათურია დაინიშნოს



სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ შესაძლოა, თბილისის პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი მერაბ ბაღათურია დაინიშნოს.

ამის შესახებ „ფრონტნიუსისთვის“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებისგან გახდა ცნობილი.

მათივე თქმით, საკითხის ბაღათურიას სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში ოფიციალური დანიშვნა თვითმმართველობის არჩევნების დასრულების შემდეგ განხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობას გოგი გახარია ასრულებს, რომელმაც ასევე მოვალეობის შემსრულებელი სიმონ მაჩაიძე ჩაანაცვლა. მაჩაიძემ კი, თავის მხრივ, მისი ყოფილი უფროსი დიმიტრი დარბაისელი შეცვალა. აღიშნულ პოსტზე ცვლილებები გაცემულ სოლიდურ პრემიებს მოჰყვა. (ფრონტნიუსი)

## „შსს-მ გამოძიების გარეშე უარყო კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები“

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადებით, „კანდიდატებზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტებთან მიმართებაში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების რეაგირება არასაკმარისი და არაეფექტურია“.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, უარყო საარჩევნო კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები და მასში პოლიციელთა შესაძლო მონაწილეობა. პროკურატურის ინფორმაციით, სავარაუდო ზეწოლის 61 ფაქტიდან მხოლოდ 4 ფაქტზე დაიწყო გამოძიება. ამ ფონზე, ძალადობის, ზეწოლის უპირობო დაგმობისა და ეფექტური გამოძიების ჩატარების აუცილებლობაზე ხაზგასმის ნაცვლად, არაადეკვატური იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ „ქართული ოცნება“ არც ერთ რეგიონსა და ქალაქში არ დაუშვებდა სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას“, – ნათქვამია ანგარიშში. (ნიუპოსტი)

## „როდესაც 13-კაციანი კომისიიდან 12 კაცი „ქართული ოცნებისაა“, ის ობიექტური ვერ იქნება“



საარჩევნო ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წევრი მანანა ნაჭყებია ეთანხმება საია-ს შუალედურ ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ცესკომ რიგ შემთხვევებში არათანმიმდევრული და მიკერძოებული გადაწყვეტილებები მიიღო.

„უკეთესი მოლოდინი არც ყოფილა. როდესაც 13-კაციანი კომისიიდან 12 კაცი „ქართული ოცნებისაა“, ბუნებრივია, ის ობიექტური ვერ იქნება. ცალკეულ შემთხვევებში ცესკოს მხრიდან მართლაც იყო მიღებული ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც ხელს აძლევდა ხელისუფლებას და ხელს არ აძლევდა ოპოზიციას რაც ძალიან სამწუხაროა“. – განაცხადა ნაჭყებიამ

მისივე თქმით, „იყო მოლოდინი, რომ წინასაარჩევნო გარემო გამოსწორდებოდა და ხელისუფლებიდან არ იქნებოდა ზეწოლა და ეს მოლოდინი არ გამართლდა“.

„ამ არჩევნებზე, განსაკუთრებით რეგიონებში ხშირი იყო სუს-იდან ჩვენი წარმომადგენლების დაბარებები, ხშირი იყო ადგილობრივი ორგანოების მხრიდან ადამიანებზე ზეწოლა და ყველანაირი ხერხით მათი საარჩევნო მარათონიდან ჩამოშორება. ძალიან ბევრმა ადამიანმა ჩვენი ბლოკიდანაც მოხსნა კანდიდატურა, რაც მათი მხრიდან გაუგებარი იყო. ეს, რა თქმა უნდა, იყო ზეწოლა“, – განაცხადა მანანა ნაჭყებიამ. (ფრონტნიუსი)

## „საქართველოს მისწრაფება გახდეს ნატო-ს წევრი, შეუქცევადია“



პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს ინტერვიუ მისცა:

„2012 წელს არჩევნების შედეგად ჩვენ შევცვალეთ დამოკიდებულება რუსეთთან ურთიერთობებში. წინა ხელისუფლებას, სააკაშვილის ხელმძღვანელობით ჰქონდა განსხვავებული დამოკიდებულება რუსეთთან, რადიკალური პოლიტიკა. ჩვენ რამდენიმე კონსტრუქციული ნაბიჯი გადავდგით, წარმატებასაც მივაღწიეთ, სპეციალური წარმომადგენელი დავნიშნეთ რუსეთთან ურთიერთობებში. გაიხსნა რუსეთის ბაზარი და მე ვფიქრობ, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობა გვსურდა. ერთი თვის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთი არ აპირებს, ჩაერიოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესში. საქართველოს გზა უნიკალური გახლავთ, ერთი მხრივ, ჩვენ მივიწევთ ევროკავშირისკენ, ამავე დროს ჩვენ ვახორციელებთ ღონისძიებებს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების კუთხით, ვცდილობთ, ბალანსი არ დავარღვიოთ. ჩვენ ნათლად განვაცხადეთ საქართველოს მისწრაფების შესახებ, ქვეყანა გამხდარიყო ევროკავშირისა და ნატოს წევრი და ეს არის შეუქცევადი. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის რთული გზა, თუმცა საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა. ჩვენ ჩავატარეთ დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები. საქართველო ისევ რჩება ნატოს არაწევრ ქვეყნად, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ნატოს ავღანეთის მისიაში“. – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სერგო ჯავახიძე: „ნაციონალები“ „ფრესკოს“ აყროლებულ ქათმებს მოსახლეობაში არიგებენ“

**ხელისუფლების წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, რომ საქართველოში ინვესტიციების შემოდინება დაიწყო, რაც ქართული ეკონომიკის გაჯანსაღების დასაწყისია. თუმცა ამ თემაზე ცოტა განსხვავებული მოსაზრებები აქვს ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილ მოადგილეს, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერს, თბილისის მერობის კანდიდატს, სერგო ჯავახიძეს:**

– მოდი, მაგალითებით ვილაპარაკოთ: დღეს თბილისის ბიუჯეტი არის 1 მილიარდი ლარი, აქედან 700 მილიონი ამოდის გადასახადებიდან, ხოლო 200-300 მილიონი არის აქტივები, ანუ ჩვენი მიწებიდან და ყოფილი ქარხნების, შენობების გაყიდვიდან შემოსული ფული. თუ ახლა ინვესტიციები შემოდის იმის ხარჯზე, რომ ჩვენი მიწა და ჩვენი ქონება იყიდება, ამაზე იხვეწებიან თურქები და არაბები, ადრეც არ იყო პრობლემა. კი, ბატონო, შემოდიან, ყიდულობენ, რაღაც თანხებს დებენ, მაგრამ მერე რას აკეთებენ, ეს არის საინტერესო. მაგალითად, ინდოელებმა და ირანელებმა ექსპერტებს შეაფასებინეს და იყიდეს დანგრეული ქარხნები თბილისის შემოგარენში, გადაიხადეს 2 მილიონი დოლარი, იქ იმდენი აგური, რკინა, „შველერი“ და იმდენი მეორადი მასალაა, მერე იყიდება 5 მილიონ დოლარად. შლიან და პირდაპირ ყიდიან. ამ დროს მიწა რჩებათ მუქთად, ერთ ფინანსურ ოპერაციას ატარებენ და, სულ მცირე, მოგებაში არიან 150-200 პროცენტით. გავიხსენოთ, „ნაციონალებმა“ თავის დროზე საავადმყოფოები გაყიდეს, ინვესტორებმა არაფერი არ გააკეთეს, პირიქით, გააპარტახეს, რათა მერე დაეშალათ და გაეყიდათ. როდესაც ქვეყანაში ინვესტორი შემოდის, ყიდულობს ქონებას, აქ იდება პირობა, რას აკეთებს პირველ წელს, მეორე წელს და ასე შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიღებთ ასეთ სურათს: დებენ 5 მილიონს და აქედან გააქვთ 15 მილიონი. მე ვიცი კონკრეტული ფაქტები, არ მაქვს უფლება, დავასახელო, მაგრამ აგერ, ლილოში იყიდეს 2 მილიონად შენობა და ამოიღეს 5 მილიონი. თუ ამას ჩვენ ინვესტიციად



ჩავთვლით, ძალიან შევცდებით.

**— ბოლო პრესკონფერენციაზე ირაკლი ღარიბაშვილს უსაყვედურეს, თქვენ უცხოელებს გზას უკეტავთ, საშუალებას არ აძლევთ, რომ მიწები იყიდონო. ამაზე პასუხი არ გასცა, მაგრამ მე ახლა ვიყავი კახეთში და გავარკვიე, რომ ინდოელები მიწებს ველარ ყიდულობენ, თითქმის ყველა წავიდა.**

– მე ვარ მომხრე, რომ ძველი შენობები, ძველი ქარხნები თუ ფაბრიკები ადგილობრივ ჯგუფებს გადაეცეთ 1 ლარად. სხვათა შორის, ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, ასეთ ადამიანებს მივცემ ქონებას 1 ლარად, თუ იქ რამეს გააკეთებენო. რა თქმა უნდა, ეს ხედვა უკეთესია, ვიდრე ინდოელსა და ირანელს მივცეთ. გეუბნები, ინდოელი ერთჯერადად ჩადებულ თანხას ამოიღებს, მოგებასაც ნახავს და წავა, თან ფულს წაიღებს. თუ ადგილობრივებს მივცემთ, იმათ შენობები რომც დამალონ და გაყიდონ, ფული აქ რჩება. ასევეა მიწების საკითხიც, ინდოელებმა და ირანელებმა ხვნა-თესვა კი არა, მიწების გადაყიდვა დაიწყეს.

**— კი, ჩამოდიოდა ერთი ინდოელი, ყიდულობდა მიწას, მერე იმას ჩამოჰყავდა სხვა ინდოელი, ასყიდებდა ძვირად და ასე წავიდა ჯაჭვური რეაქცია. ამ დროს ერთი მარცვალი არავის არ ჩაუგდია მიწაში.**

– აი, სწორედ მაგას ვამბობ, უცხოელებმა ფული აკეთეს და წავიდნენ, აქ ფული არ დარჩა. მე ამ შემთხვევაში მხარს ვუჭერ ირაკლი ღარიბაშვილს. მაგალითად, საქართველოში შემოვიდა „ბმვ“-ს ინვესტორი და ამბობს: მე მინდა, ავაშენო ქარხანაო, ასეთ ინვესტორს ყველანაირად ხელს შევუწყობთ, მაგრამ, როცა კერძო პირები მოდიან და მიწების ყიდვა-გაყიდვას იწყებენ, ეს არასწორად მიმაჩნია.

**— გადავიდეთ შემდეგ თემაზე: როგორც გავიგე, ამ არჩევნებში მაგრად გჩაგრავენ არასაპარლამენტო ოპოზიციას.**

*გაგრძელება*
*მეთორმეტე გვერდზე*



„მე ვიცი კონკრეტული ფაქტები, არ მაქვს უფლება, დავასახელო, მაგრამ აგერ, ლილოში იყიდეს 2 მილიონად შენობა და ამოიღეს 5 მილიონი. თუ ამას ჩვენ ინვესტიციად ჩავთვლით, ძალიან შევცდებით“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 19 ივნისიდან ბათუმი-თბილისის ღამის მატარებელი აღარ იმოძრავებს



19 ივნისიდან ბათუმი-თბილისის მიმართულებით ღამის მატარებელი აღარ იმოძრავებს. როგორც ცნობილი გახდა, რეისები ღამით არც დედაქალაქიდან შესრულდება. საქართველოს რკინიგზის ამ გადაწყვეტილების ზუსტი მიზეზი ამ დროისთვის გაურკვეველია. ბათუმის რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ ოფიციალური ბრძანება ჯერ არ მიუღიათ. სადგურის ერთ-ერთი მოლარე კი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება ტურისტული სეზონის მოახლოებას უკავშირდება, თუმცა დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს.

მგზავრები გადაწყვეტილების უარყოფით შედეგებზე საუბრობენ. აცხადებენ, რომ ღამის რეისის გარეშე მგზავრობა მოუხერხებელი იქნება. ისინი აღნიშნავენ იმასაც, რომ მატარებელი მგზავრების გადასაყვანად ისედაც არ იყო საკმარისი, ღამის რეისის გაუქმება კი ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს.

„საქართველოს რკინიგზაში“ კომენტარს არ აკეთებენ, პრესცენტრის ინფორმაციით, გადაწყვეტილება მატარებლების განახლებას უკავშირდება, თუმცა აღდგება თუ არა საბოლოოდ მატარებლის მიმოსვლა, დაზუსტებულ ინფორმაციას პრესცენტრი არ ფლობს. (ნიუპოსტი)

## შს მინისტრი დავით ცინდელიანის საქმეს ეხმაურება



შს მინისტრი დავით ცინდელიანის საქმის გახსნის ფაქტს ეხმაურება. ალექსანდრე ჭიკაიძის შეფასებით, დაუშვებელია, ხელისუფლება ძალადობდეს მოქალაქეებზე და მსგავსი რამ ხდებოდეს დემოკრატიულ ქვეყანაში.

„ეს საქმე ჩვენი ქვეყნისთვის და მოსახლეობისთვის შემაშფოთებელია. სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები არ უნდა ძალადობდნენ მოქალაქეებზე, მით უმეტეს, ამ ფორმით. ეს მიუღებელია დემოკრატიული ქვეყნისთვის. ყველა მსგავსი საქმე იქნება გამოძიებული და ყველა დამნაშავე დაისჯება“, – განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძე. (ნიუპოსტი)

## 52-მა ადამიანმა, სავარაუდოდ, კანდიდატურა ზეწოლის შედეგად მოხსნა




ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიშის მიხედვით, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე 52-მა კანდიდატმა, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის შედეგად საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. 1-ლი მაისიდან 10 ივნისამდე პერიოდში საკუთარი ინიციატივით რეგისტრაციიდან მოხსნის 527 ფაქტი დაფიქსირდა.

საია-ს ანგარიშის მიხედვით, დაზარალებულები ძირითადად არ აკონკრეტებენ, ვინ ახდენდა მათზე ზეწოლას: „პარტიების ან თავად კანდიდატების განმარტებით, მათთან ხორციელდებოდა მუქარის შემცველი სატელეფონო ზარები, ადგილი ჰქონდა ახლობლის სამსახურიდან განთავისუფლების, ან პრობლემების შექმნის მუქარას. ვფიქრობთ, კანდიდატებზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტებზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების რეაგირება არასაკმარისი და არაეფექტურია. შსს-მ გამოძიების გარეშე უარყო საარჩევნო კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები და მათში პოლიციელთა შესაძლო მონაწილეობა. პროკურატურის ინფორმაციით კი, სავარაუდო ზეწოლის 61 ფაქტიდან მხოლოდ 4-ზე დაიწყო გამოძიება“. – აცხადებენ საია-ს წარმომადგენლები.

ანგარიშის თანახმად, დაფიქსირდა თავდასხმის 2, ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის 4, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის ხელის შეშლის 9 და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 2 ფაქტი. როგორც საია-ს წარმომადგენლები აღნიშნავენ, „დაპირისპირების შემცველი ინციდენტების სათანადო პრევენცია ხელისუფლებამ ვერ შეძლო“. (ნიუპოსტი)

## თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დაკითხეს



თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ოთარ ბაზაძე 10 ივნისს, გვიან ღამით, „მოდულის“ შენობაში ერთი საათის განმავლობაში იკითხებოდა. ბაზაძე ბაჩო ახალაიას მინისტრობის პერიოდში თავდაცვის სამინისტროში შესყიდვების სამსახურს კურირებდა.

ის დასაკითხად მაშინ გადაიყვანეს, როდესაც თბილისში საცოლესთან ერთად გადაადგილდებოდა. „მოდულის“ შენობასთან იმყოფებოდნენ მისი ახლობლებიც. მათი განცხადებით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, ისინი პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებენ და მომხდარს ბაჩო ახალაიას უკავშირებენ. დაკითხვის შემდეგ ბაზაძეს მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია და უცნობია, რა საქმეზე ჰქონდათ კითხვები სამართალდამცველებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ. (ნიუპოსტი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

– „ქართული ოცნების“ შემდეგ ჩვენი ბლოკი ერთადერთია, სადაც ჩვენი კვალიფიციური სუბიექტია გაერთიანებული. უკანასკნელი 40 დღის განმავლობაში არც ერთი წამი არ დაგვითმო არც ერთმა ტელევიზიამ. როდესაც ასეთი დისკრიმინაცია მიდის, ეს რას ნიშნავს? მე რომ დღე და ღამ „ქართულ ოცნებას“ ვაგინებდე, „რუსთავი 2“ აუცილებლად დამიძახებდა. არადა, კანონის 23-ე მუხლის თანახმად, არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტი უნდა გაშუქდეს თანაბრად, ამას არეგულირებს მარეგულირებელი კომისია. გიორგი გაბუნია იძახის, მე თბილისის მერობის 5 მთავარ კანდიდატს ვიცნობო. ასმათ ტყაბლაძე თუ მთავარი კანდიდატია, მაშინ ყოჩაღ, თანაც არავის დაავიწყდეს, რომ ის არაკვალიფიციური პარტიის წარმომადგენელია. მიიყვანენ ხოლმე ტელევიზიაში მერობის კანდიდატებს, ჩაუგდებენ ძვალს და აჭმევინებენ ერთმანეთს. ვერავინ ვერ გაიგებს, რომელ კანდიდატს რის თქმა უნდა. არადა, საზოგადოებამ უნდა მოისმინოს მათი ხედვები და პროგრამები. ესენი მთელი ღამე დგანან და ლანძღავენ ერთმანეთს.

**— სერგო, როგორც ვიცი, შენ სასამართლოშიც გიჩივლეს იმის გამო, რომ სხვა პარტიების პლაკატებზე შენმა აქტივისტებმა შენი პლაკატები გადააკრეს.**

– კი, მიჩივლეს და ამ სასამართლოს რომ ვუყურებ, ალბათ, მეც დამაჯარიმებენ. ამ დღეებში იქნება სასამართლო პროცესი.

**— რას ითვალისწინებს ასეთი საქციელი?**

– თითო პლაკატის გადაკვრა ჯარიმდება 1000 ლარით.

**— ესე იგი თუ 50 პლაკატი გადააკრეს, ე.ი. 50 ათასი ლარით ჯარიმდები?**

– დიახ, ასეა, არ ვიცი, რა იქნება.

**— შენ იყავი დავით კეზერაშვილის მოადგილე ფინანსურ პოლიციაში. ყველაზე კარგად შენ იცნობ ამ ადამიანს. როგორც თენგიზ სიგუა ამბობს, კეზერაშვილმა, თავისი საქმეები რომ მოეგვარებინა სასამართლოში, გადაიხადა 20 მილიონი დოლარი. შენ იცი ამის შესახებ რამე?**

– მე რომ წამოვედი ფინანსური პოლიციიდან, ამის ერთადერთი მიზეზი ის იყო, დიდი თანხების ბრუნვის შესახებ არაფერი არ უნდა მცოდნოდა. ეს გახდა სწორედ ჩემსა და კეზერაშვილს შორის დაპირისპირების საგანი. რა თანხებსაც კეზერაშვილი აწერდა ბიზნესმენებს, ეს ყველაფერი მიდიოდა „ნაციონალების“ ყულაბაში. ამის შესახებ ნებისმიერმა ბიზნესმენმა იცის, ვისაც კი ჰქონია შეხება ფინანსურ პოლიციასთან. კეზერაშვილი იყო და არის „ნაციონალური მოძრაობის“ მოლარე. ადამიანი, რომელიც ამდენ ფულს იხდიდა პარტიაში, როგორ ფიქრობთ, საკუთარი თავის გადასარჩენად 20 მილიონს არ გადაიხდის?..

**— გამოდის, რომ კეზერაშვილმა მოსამართლეები მოისყიდა?**

– ჩვენ ასევე შეიძლება ვივარაუდოთ გამომძიებლებსა და პროკურორებზეც. სასამართლოში დოკუმენტები მათ შეიტანეს. თუ პროკურორები და გამომძიებლები მაგრად მოიქცევიან, მოსამართლე ბევრს ვერაფერს შეცვლის. დღეს რა გადაწყვეტილებებიც მოსამართლეებს გამოაქვთ, მით უმეტეს, „ნაციონალების“ საქმეებზე, ყველაფერი არის წინასწარ პროგნოზირებადი. ანუ ჩვენ უკვე ვიცით, რა განაჩენს გამოიტანენ. აი, ეს არის მთელი უბედურება.

**— სხვათა შორის, შენ თუ ჩავარდი ამ პლაკატების გამო „ნაციონალი“ მოსამართლეების ხელში, ახლავე გეუბნები, ამ საქმეს წააგებ.**

FRESCO ფრესკო

**„სხვათა შორის, ჩემთან იყო რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც მითხრეს, რომ „ნაციონალები“ „ფრესკოს“ აყროლებულ ქათმებს არიგებენ მოსახლეობაში... მე არ ვიცი, „ფრესკო“ ვისია, მაგრამ გეუბნები იმას, რაც მითხრეს“**



**„მიჩივლეს და ამ სასამართლოს რომ ვუყურებ, ალბათ, მეც დამაჯარიმებენ. ამ დღეებში იქნება სასამართლო პროცესი. თითო პლაკატის გადაკვრა ჯარიმდება 1000 ლარით. არ ვიცი, რა იქნება...“**

– წინასწარ ნუ მაშინებ. ჩემს პლაკატებზეც გადააკრეს „ნაციონალებმა“, მაგრამ სასამართლოში არ გავქცეულვარ. სხვათა შორის, ჩემთან იყო რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც მითხრეს, რომ „ნაციონალები“ „ფრესკოს“ აყროლებულ ქათმებს არიგებენ მოსახლეობაში.

**— სერგო, შენ ახლა სკანდალურ რაღაცას მეუბნები. ე.ი. გამოდის, „ფრესკო“, რომელიც აყროლებულ ქათმებს ყიდის, „ნაციონალებისაა“?**

– მე არ ვიცი, „ფრესკო“ ვისია, მაგრამ გეუბნები იმას, რაც მითხრეს. შემიძლია, ეს ადამიანები შეგახვედრო, ისინი უფრო დეტალურად მოგიყვებიან ყველაფერს. თან ამბობენ, რომ „ნაციონალების“ მიერ დარიგებული ქათმები, ვადაგასულია.

**— მე აუცილებლად შევხვდები მაგ ადამიანებს და კარგი იქნება, თუ ამ ფაქტს დაადასტურებენ.**

– კი ბატონო, არ არის პრობლემა, ისინი ვერ მოიგონებდნენ, რადგან არც თქვენი მეგობრები არიან და არც ჩემი, რაც აწუხებდათ და რაც ნახეს, ის თქვეს.

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქონების წართმევის ფაქტზე პროკურატურაში 10 ათასამდე განცხადება შევიდა



უმრავლესობის წარმომადგენლის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ის, რაზეც გუშინ ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ ისაუბრა, საზოგადოებისთვის სიახლე არ იყო. მისი განცხადებით, ქონების წართმევის შესახებ პროკურატურაში 10 ათასამდე განცხადება შევიდა.

„ხელისუფლებაში მოსვლის პირველ პერიოდში პროკურატურაში 10 ათასამდე საჩივარი შევიდა, სადაც მომჩივნები ქონების წართმევის შესახებ აცხადებენ. ასეთი ფაქტები აუცილებლად კიდევ გამოჩნდება. რა თქმა უნდა, ამ საქმეებით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს. ყველა ეს საქმე უნდა იყოს გამოძიებული და დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვოს, მიუხედავად პოლიტიკური ნიშნისა და შეხედულებებისა“, – განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი სესიაშვილმა.

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მასა და მის ბიზნესზე განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრა. მან პირდაპირ დაადანაშაულა მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გიგი უგულავა და ზურაბ ადეიშვილი. (რეპორტიორი)

## „პატივცემულო“ ნაცებო, უხერხულია დაბეზღებაზე თქვენი აღშფოთება



ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ, სანდრო ბრეგაძემ „ფეისბუკ“-გვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა „ნაციონალების“ აღშფოთებაზე დაბეზღებასთან დაკავშირებით.

„მართლაც საშინელი რამაა დაბეზღება ან როგორც უწოდებენ – „ჩაშვება“. არასოდეს ვცემდი პატივს ადამიანს, რომელიც მეგობარს აბეზღებდა, პირიქით, მეზიზღებოდა და ჩემს შვილებსაც ყოველთვის ვასწავლი, რომ ღალატი და დაბეზღება ყველაზე დიდი უმსგავსობაა. არც ის ადამიანი მომწონებია, რომელსაც საჩემოდ ვინმე დაუბეზღებია და ამბავი მოუტანია. სხვათა შორის, იგივე პრინციპებით გვზრდიდნენ ჩვენი მამები და ბაბუები. ამიტომ ამ ფონზე მართლაც საკვირველია ნაცების აღშფოთება „ჩაშვებებთან“, დაბეზღებასთან დაკავშირებით, რადგან სწორედ ნაცები გახლავან შემოქმედნი ე.წ. ჩაშვების ინსტიტუტის დანერგვისა, სწორედ ნაცები ახალისებდნენ ახალ პავლიკ მაროზოვებს, სწორედ ნაცებმა შემოიღეს „მოდაში“ ე.წ. ჟუჩოკებისა და კამერების დამაგრება, მათ მიაჩვიეს ხალხი, რომ მოყვასის გაწირვა და ჩაწერა ცოდვა არაა, პირიქით, ეს სახელმწიფოებრივი მიდგომაა, სწორედ ნაცების პროპაგანდა იყო, რომ ჩვენი ბაბუებისა და მამების თაობის მორალური კრიტერიუმები ჩამორჩენილობაა და ა.შ. ამიტომ, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია დაბეზღებაზე თქვენი აღშფოთება, „პატივცემულო“ ნაცებო. ისე, ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ ყველა იუდა, დამბეზღებელი და გამყიდველი ყველაზე საშინელი არსებაა მთელ სამყაროში!!!!!!!“ – წერს სანდრო ბრეგაძე. (რეპორტიორი)

## შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო



შსს-ს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1977 წელს დაბადებული როსტომ ა. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „ტე-ტე“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 16 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ნიუპოსტი)

## სამხედროები არჩევანში თავისუფალი არიან



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ წინასაარჩევნო გარემო შეაფასა. მინისტრის განცხადებით, სამხედრო მოსამსახურეებს არჩევნებზე სრული თავისუფლება აქვთ.

„ჩვენ თავისუფლებას ვაძლევთ ყველა სამხედრო მოსამსახურეს, საკუთარი შინაგანი რწმენით მიიღოს გადაწყვეტილება, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა ის დრო, როდესაც მათ აიძულებდნენ და ბრძანებას აძლევდნენ ამა თუ იმ პარტიისა და კონკრეტულად მმართველი პარტიისთვის მიეცათ ხმა. აი, ეს არის საგრძნობი ცვლილება და წინ გადადგმული ნაბიჯი საარჩევნო გარემოში“. – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

## გიორგი კაპანაძე ნუგზარ შევარდნაძის ხელის ბიჭია



თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა გიორგი კაპანაძის ბრალდებებს პასუხობს.

მისი თქმით, ბიზნესმენს ამ ფორმით საკუთარი ფინანსური პრობლემების გაუმჯობესება სურს.

„კაპანაძე ცრუობს და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ის რომ არის შეშინებული, ამ ადამიანს აქვს ძალიან ბევრი ფინანსური პრობლემა და როგორც ჩანს, ახლა ცდილობს, თავისი აგენტობა და თავისი საქციელი გადაფაროს იმით, რომ წარმოუჩინოს საზოგადოებას თითქოს, ის არის ცხრაწლიანი რეჟიმის მსხვერპლი. საზოგადოებას მინდა, ვუთხრა, რომ ის არის ნუგზარ შევარდნაძის ხელისბიჭი და სწორედ ნუგზარ შევარდნაძეს წარმოადგენდა ის ფეროშენადნობთა ქარხანაში“, – განაცხადა უგულავამ.

ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ „პოლიტიკის დროში“ წინა ხელისუფლების დროს განხორციელებული ზეწოლის შესახებ ისაუბრა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## გიორგი გაბუნია: „საზიზღარი მარტოსული ვარ, იცით, როგორი იქნება ჩემი მომავალი? მარტო დავძმარდები“



ტელეწამყვანი ამბობს, რომ მას ოჯახურ ცხოვრებას თავისუფალი ურთიერთობები ურჩევნია.

– საერთოდ არ ვარ მეოჯახე, საზიზღარი მარტოსული ვარ. იცით, როგორი იქნება ჩემი მომავალი? დავძმარდები მარტო. ოჯახური ურთიერთობის არანაირი ფორმა არ მომწონს. ოჯახი არის ვალდებულება, ვალდებულებებს კი ვერ ვიტან. მიყვარს თავისუფალი ურთიერთობები. ქალები, რომლებიც მომწონს, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან, ზოგადი ფორმულა არ მაქვს. ჩემი ატანა მართლაც რთულია, ხშირად ჩვენი ურთიერთობა იმით მთავრდება, ვინ დაასწრებს მიტოვებას, მეც მიმიტოვებია და მეც მივუტოვებივარ. ყოველთვის ვცდილობ, ურთიერთობა ისე დამთავრდეს, თითქოს ყველაფერი მე დავასრულე“, – განაცხადა გაბუნიამ „სარკესთან“ საუბრისას.

გაბუნია პოლიტიკაში წასვლას არ გამორიცხავს.

– თავის დროზე ვამბობდი, რომ უმუშევარი და მათხოვარი დავრჩებოდი და საინფორმაციო გამოშვებას არასოდეს წავიყვანდი, მაგრამ... ამიტომ არ ღირს ფიცი, – ამბობს გაბუნია „სარკესთან“ საუბრისას.

*pia.ge*

## ნინო ბურჯანაძის ვაჟმა კახი კალაძეს „არმანის ნიფხავში წამოგორებული ჭორიკანა ორღობის დედაკაცი“ უწოდა



– სიმართლე უთხარით ქვეყნის მოსახლეობას, 2008 წელს თქვენ პარლამენტიდან იმის გამო წამოხვედით, რომ სააკაშვილმა გაგათავისუფლათ, – ასე მიმართა ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ ნინო ბურჯანაძეს „რუსთავი 2“-ის ტოქშოუ „არჩევანში“ სტუმრობისას. კალაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები დღეს ბურჯანაძის პარტიაში არიან გადაბარგებულები.

კახი კალაძის ამ გამონათქვამებს „ფეისბუკში“ ნინო ბურჯანაძის უმცროსი ვაჟი, რეზიკო ბიწაძე ეხმაურება, რომელიც კალაძეს ფოტოკამერებთან თამამ პოზირებას ახსენებს და „ორღობის ჭორიკანა დედაკაცს უწოდებს“:

– კახი! ვის არ მოუკითხავს ხალხი 26 მაისს?! 17 წლის ასაკში ზონა-ზონა პერედაჩებზე რო დავრბოდი ფეხით (ეს მარტო მე), ვინ მყავდა ცოცხალი, ვინ მკვდარი, წესიერად არც ვიცოდი! რა გალაპარაკებს ამდენს, რო დაგვიჭირეს და გადაგვიარეს, მაშინ შენ არმანის ნიფხავში წამოგორებული იღებდი სურათებს იტალიაში! „სპეცნაზმა“ გამოიყვანა ბურჯანაძეო, სააკაშვილის გარდა, არავის არ უთქვამს ეგ სისულელე და იმანაც ერთხელ და მეორედ ველარც გაიმეორა. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე ასეულმა კაცმა უყურა, მარტო ჩვენი მხრიდან, ვინ როგორ გამოვიდა. მის ადგილზე, ეჭვი მაქვს, ტირილით გამოვარდებოდი იქიდან. ვიცე-პრემიერი ხარ, კანავაროსთან ერთად კი არ ხარ იახტაზე, რო ჭორაობ ორღობის დედაკაცივით, – წერს ნინო ბურჯანაძის ვაჟი.

*ambebi.ge*

## დაშორდნენ თუ არა კახა მიქიაშვილი და სალომე არშბა – „სასურველ გოგონას ლექსებსაც კი უძღვნიდა“



წყვილმა ერთმანეთი ბათუმში გაიცნო. სალომეს მოხიბვლას კახა ბევრნაირი გზით ცდილობდა. სასურველ გოგონას ლექსებსაც კი უძღვნიდა და მიუხედავად იმისა, რომ პოეტობაზე პრეტენზია ლექსების ავტორს არ ჰქონდა, თურმე მისი პოეზია სალომეს ძალიან მოსწონდა.

მოკლედ, ყველაფერი ძალიან კარგად იყო. მალე დაქორწინდნენ, ჯვარი დაიწერეს და წყვილს გოგონა შეეძინა. პატარას თინა დაარქვეს. თინა კახასთვის მეორე შვილია.

კახა პრესასთან საუბრისას ყურადღებას ამახვილებდა, რომ სალომეს ხუთი შვილის გაჩენა უნდოდა და ამის სურვილი მასაც გაუჩნდა. თუმცა მცირე ხნის წინ თბილისში ხმა გავრცელდა, რომ წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

რასაკვირველია, დადასტურებულად ამის თქმა მხოლოდ წყვილიდან ერთ-ერთს შეუძლია, მაგრამ, ალბათ, მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ თბილისში ბევრი ჭორი ვრცელდება – როგორც წყარომ გვიამბო, დაქორწინებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ტელეწამყვანსა და მსახიობს შორის ურთიერთობა გაცივდა. კახა სახლში სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებდა და სამსახურის დასრულების შემდეგ გართობაზე ფიქრობდა, სალომე კი შინ იყო და ასეთი ურთიერთობით დაიღალა.

ასევე, გვითხრეს, რომ კახასა და სალომეს წყვილი ოფიციალურად არ განქორწინებულა, მაგრამ უკვე ერთი წელია, რაც სალომე მშობლებთან ცხოვრობს.

როგორც ამბობენ, კახა ბავშვს ნახულობს და ცდილობს, მზრუნველი მამა იყოს. შვილთან ერთად სხვადასხვა სიტუაციაში გადაღებულ ფოტოებს ხშირად აქვეყნებს სოციალურ ქსელში. ალბათ, ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი, რომ მათი დაშორების შესახებ ახალი ამბავი არავინ დაიჯერა.

სალომესა და კახას მეგობრების თქმით, წყვილი ერთმანეთს სკანდალით არ დაშორებულა და რადგან ჯერ ოფიციალურად ხელი არ აქვთ გაწერილი და არც ჯვარი აუყრიათ, მეგობრებს დიდი იმედი აქვთ, რომ შერიგდებიან.

*reitingi.ge*

## „მისის პლანეტაზე“ საქართველოს „ქუთაისელი ანჯელინა ჯოლი“ წარადგენს



ეკა 30 წლის გახლავთ. ის, შვილთან და მშობლებთან ერთად ქუთაისში ცხოვრობს. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში და მეორე კურსზე იყო, როცა დედაქალაქში გათხოვდა.

ბავშვის გაჩენის შემდეგ, სამოდელო კარიერა ველარ გააგრძელა, არადა, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.



კარიერის მოულოდნელად დასრულების შემდეგ, მალე მეუღლეს დაშორდა და საცხოვრებლად მშობლიურ ქალაქს მიაშურა.

დაახლოებით ორი წელია, რაც მოდის სამყაროში ისევ დაბრუნდა, ოღონდ ქუთაისში, მანანა გოგლიჩიძის მოდის სახლში. ეკა სოციალურ ქსელში განსაკუთრებულად პოპულარულია – მას ყველა ანჯელინა ჯოლის ამსგავსებს.

ახლახან თბილისში პირველად ჩატარდა კონკურსი „მისის პლანეტა“, დაოჯახებული, ქვრივი და განქორწინებული ქალბატონებისთვის. მონაწილეთა ასაკი 18-40 წლამდეა. გამარჯვებული ეკა ქუთათელაძე გახდა და ბულგარეთში ივნისის ბოლოს გაემგზავრება, სადაც ფინალზე საქართველოს წარადგენს.

ეკა ქუთათელაძე:

– საქართველოში პირველად ჩატარდა ეს კონკურსი. ჟიურის წევრები იყვნენ დალი ჩიტალაძე, აჩიკო მეფარიძე, ზალიკო ბერგერი, მარკუს მეტრეველი, მანანა გოგლიჩიძე, შოთიკო ბოჭორიშვილი და სხვები. კრისტი ყიფშიძეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ სიცხე ჰქონდა. ჟიურიმ ერთხმად შემარჩია. არასოდეს მქონია კონკურსებში მონაწილეობის სურვილი. გამარჯვებას ველოდებოდი, მაგრამ ჩემთვის მაინც მთავარია, მსოფლიო ფინალზე რას ვიზამ. თან ამ კუთხით არ მაქვს გამოცდილება. არ ვიცი, იქ რა ასაკის ქალბატონები დამხვდებიან. საქართველოში ყველაზე უფროსი მე ვიყავი.

*geworld.ge*

## ეკა კვალიაშვილს სიმღერა აღარ შეუძლია – „ისე ვარ, რომ სიარული მიჭირს“



მომღერალი თავს ცუდად გრძნობს. მას სიმღერა აღარ შეუძლია და აცხადებს, რომ დიდი ანთებითი კერა აქვს ტვინზე.

– ბოლო წლებში ძალიან შემეშალა ხელი სიმღერაში, ვერ ვსუნთქავდი და როგორ უნდა მემღერა? ბოლოს, ფილარმონიაში რომ გამოვედი, ვერ ვიმღერე. დექსამეტაზონი გავიკეთე კულისებში, რადგან ველარ ვსუნთქავდი. იმდენი მახველა სცენაზე, ძლივს გამომიყვანეს, ახლა კი ავრცელებენ ხმებს, მშვენივრად არის კვალიაშვილი, კარგად გამოიყურება და არაფერი სჭირსო. ცხოვრებაში ტყუილი არ მითქვამს! ახლა ამბობენ, რომ ამდენი თანხა, რაც ხალხმა გადმომირიცხა, არ მჭირდებოდა და ა.შ. როგორ არ რცხვენიათ, ვერ ვხვდები. ამ დაავადებას საერთო არაფერი აქვს იმ სკლეროზთან, რაღაცები რომ ავიწყდებათ. ეს არის ანთებითი კერა ტვინზე. ამ წუთას დიდი ანთებითი კერა მაქვს ტვინზე და ისე ვარ, რომ სიარული მიჭირს, – ამბობს კვალიაშვილი „სარკესთან“ საუბრისას.

*pia.ge*

## ნუცა ბუზალაძე: „ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ საქართველო ვასახელო“



კონკურსზე „ახალი ტალღა 2014“ საქართველოს სახელით მომღერალი ნუცა ბუზალაძე წარდგება. მისი პროდიუსერები მამულიჩა და ლელა წურწუმია იქნებიან.

რა რეპერტუარით წარდგება მომღერალი იურმალას კონკურსზე, ქართველი მსმენელისთვის ეს ჯერჯერობით სიურპრიზად რჩება.

ნუცას თქმით, არ ელოდა თუ იურმალაზე საქართველოს სახელით გამოსვლას მას ანდობდნენ.

– არ ველოდებოდი, რადგან არ ვიცოდი, რა კრიტერიუმებით არჩევდნენ და როგორი მომღერალი უნდოდათ, რომ საქართველო წარედგინა.

ჩემი სახელი რომ წავიკითხე, ვერ ვიჯერებდი. ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და მიხარია, რომ ასეთი პატარა ამხელა გამოცდილებას შევიძენ, – განაცხადა ნუცა ბუზალაძემ „რეპორტიორთან“ ინტერვიუში.

მისი თქმით, არ იცის რამდენად აქვს გამარჯვების შანსი, მაგრამ ყველაფერს გააკეთებს, რომ სამშობლოში წარმატებით დაბრუნდეს.

– ქართველ ხალხს და მაყურებელს ვპირდები, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებ და სამივე სიმღერას ძალიან კარგად ვიმღერებ, რაც ჩემი ვალდებულებაა, – ამბობს ნუცა ბუზალაძე.

*reportiori.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– გახსოვდეთ – სამსახურში მთელი 100 პროცენტით უნდა დაიხარჯოთ! უფრო ზუსტად: 12 პროცენტით ორშაბათობით, 23 პროცენტით სამშაბათობით, 40 პროცენტით ოთხშაბათობით, 20 პროცენტით ხუთშაბათობით და 5 პროცენტით პარასკეობით!

და გახსოვდეთ ისიც, რომ, როცა შეფი გეჩხუბებათ, შეშფოთებული სახის მისაღებად 44 კუნთი უნდა აამოქმედოთ, ხოლო მხოლოდ 4 კუნთის ამოქმედებაა საჭირო შუა თითის გასაჭიმად...

*****

– გძინავს?
– არა.
– აბა, თვალები რატომ გაქვს დახუჭული?
– რა ვიცი, მხედველობის ეკონომიაზე ვზრუნავ!..

*****

– მე დედამ თაფლი მიყიდა! ვგიჟდები თაფლზე!
– მე მამამ ლუდი და თევზი მიყიდა! ვგიჟდები მამაზე!

*****



შვარცენეგერი საყვარელთან წევს. უცბად კარზე ზარის ხმაა.
ქალი:
– ქმარი მოვიდა!
– სად გაქვს სათადარიგო გასასვლელი?
– არსად!
– მაშინ მითხარი, სად გინდა, რომ გქონდეს?!

*****

მამა ვაჟს:
– შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და დროა, სექსზე ვისაუბროთ. მითხარი, გყავს მეგობარი გოგო?
– კი, მამა.
– ახლა კი უშუალოდ სექსზე: შენს მეგობარ გოგოს კაი დაქალი არ ჰყავს?

*****

ოფისში მისულ ბიზნესმენს თან ოთხი უცხოელი ახლავს. კაბინეტში შესვლამდე ბიზნესმენმა მდივანს მიმართა:
– ჩემთვის ყავა შემოიტანე, ამ ოთხ ქინძს – ჩაი!
ხმა ჯგუფიდან:
– სამ ქინძს! მე თარჯიმანი ვარ!

*****

– ბატონო კოტე, განუმარტეთ სასამართლოს, როგორ მიხვდით, რომ სახლში უცხო ადამიანი იყო შემოპარული?
– რა ვიცი, საერთოდ, ჩვენს სახლში არ არის მიღებული, ერთმანეთს უკნიდან მივეპაროთ და თავზე სკამი დავაფშვნათ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# 10 ხერხი იმუნიტეტის გასაძლიერებლად



ერთგვარი ოქროს წესი ჰქონიათ ექიმებს: „იმუნიტეტი არც ძალიან ძლიერი უნდა იყოს და არც ძალიან სუსტი“. ჰოდა, აქედანაც ჩანს, რამდენად რთულია კონტროლი. ერთი კია, უმჯობესია, იმუნიტეტი ძლიერი იყოს, ვიდრე სუსტი და ამისთვის რამდენიმე საინტერესო რჩევას გაგაცნობთ, რომლებიც მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფმა შეიმუშავა:

1. დაეხმარეთ სხვა ადამიანებს – ფსიქოლოგების მტკიცებით, სხვა ადამიანების მხარდაჭერით და მათზე ზრუნვით იმუნიტეტი ძლიერდება. კერძოდ, ორგანიზმში გამომუშავდება შენაერთები, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის პროცესს ასტიმულირებენ. გარდა ამისა, ჩახუტება და ხელის ჩამორთმევაც კი ძალიან ბევრი დადებითი შედეგის მომტანია. ამ დროს გამოიყოფა სპეციალური უჯრედები, რომლებსაც მავნე მიკროორგანიზმების გამოვლენა და განადგურება შეუძლიათ.

2. უსმინეთ მუსიკას – იმუნიტეტის სტიმულირება ხდება საყვარელი კომპოზიციების მოსმენის დროსაც. ასეთ მომენტში თავის ტვინის სწორედ იმ ადგილების სტიმულაცია მიმდინარეობს, რომლებიც ჭამის ან სექსის დროს აქტიურდებიან. ამასთანავე, ადამიანებში, რომლებიც მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავენ ან მუსიკას თავად ქმნიან, იმუნური უჯრედები გაცილებით აქტიურია.

3. გაერიდეთ ხმაურს – გარდა იმისა, რომ ხმაური სმენისთვისაა უარყოფითი შედეგების მომტანი, ის კუნთების დაჭიმვას, ძარღვების სპაზმებსა და საჭმლის მოვლენების სისტემის მუშაობის დარღვევასაც იწვევს. უკანასკნელმა კვლევებმა ცხადყო, რომ ხმაურში მუშაობა ადრენალინის მოზღვავებასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გაჩენის რისკს მნიშვნელოვნად ამაღლებს. განგაშის ხმა – სირენა, ერთ-ერთი ყველაზე მავნე ხმაა.

4. ისწავლეთ სილამაზის აღქმა – ოპტიმისტების სიცოცხლის ხანგძლივობა საშუალოდ 12 წლით მეტია, ვიდრე პესიმისტების, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. ადამიანები, რომლებიც მუდმივ სტრესულ მდგომარეობაში არიან და ირგვლივ კარგს ვერაფერს ხედავენ, ძალიან ბევრ აგებენ.

5. სწორად იკვებეთ – ის, რომ სწორად კვებაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, კარგად ცნობილი ფაქტია და ამაზე ჩვენც ბევრი დაგვიწერია. ამდენად, თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, ამ ფაქტს კიდევ ერთხელ გახსენებთ და მეტი არაფერი.

6. ხშირად იცინეთ – კიდევ ერთი კარგად ცნობილი ფაქტი: სიცილი ანტისხეულების დონეს ამაღლებს და ლეიკოციტების აქტიურობას ასტიმულირებს. შესაბამისად, იმუნიტეტიც მოწოდების სიმაღლეზეა.

7. დაიტვირთეთ გონებრივად – სულ ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბანქოს თამაშიც კი იმუნურ სისტემაზე დადებითად მოქმედებს, რადგან პროცესში ტვინიცაა ჩართული, რაც, თავის მხრივ, ორგანიზმს მოდუნების საშუალებას არ აძლევს და ტონუსს აკონტროლებს.

8. მეტი იმოძრავეთ – ძალიან ბევრი, უამრავი უსიამოვნების მომტანია ფიზიკური პასიურობა, რადგან ვერ ხდება ორგანიზმის დამცავი ძალების მობილიზაცია და ლეიკოციტების აქტიურობის გაზრდა.



9. ისწავლეთ მოდუნება – სტრესი ორგანიზმში კორტიზოლისა და ადრენალინის ჰორმონებს აგროვებს, რითიც იმუნიტეტი ქვეითდება. გამოცდების ან სამსახურში კონფლიქტური სიტუაციის არსებობა ადამიანს გაციებისა და გრიპის მიმართ უფრო სუსტს ხდის. თუკი ხშირად ახერხებთ აერობიკით ან ვთქვათ, მედიტაციით დაკავებას, სტრესი მარცხდება და შესაბამისად, იმუნიტეტიც ძლიერდება.

10. ძილი სრულ სიბნელეში – მხოლოდ სრულ სიბნელეში შეუძლია ორგანიზმს ჰორმონი მელატონინი გამოიმუშაოს, რომელსაც არაერთი დაავადებასთან გამკლავება ძალუძს. ზოგიერთი სპეციალისტი იმასაც ამტკიცებს, რომ მელატონინს მკერდის კიბოს დამარცხებაც კი შეუძლია.

**gran-med.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## მარილი ანტიდეპრესანტების ჯგუფში შეიყვანეს



„ის, ვინც მარილს მხოლოდ უარყოფით თვისებებს მიაწერს, ძალიან ცდება, რადგან პროდუქტს ადამიანისთვის არაერთი დადებითი შედეგის მოტანაც შეუძლია“, – ასე ფიქრობენ ამერიკელი სპეციალისტები და განმარტავენ, რომ მარილს აქვს თვისებები: შეამციროს დაავადებების შემთხვევები, გაუმკლავდეს დეპრესიას და ასე შემდეგ.

აღნიშნული მოსაზრების ავტორთა თქმით, მარილი განწყობის გამოკეთების ბუნებრივი საშუალებაა, რაც ხსნის ბევრი ადამიანის მიდრეკილებას, პროდუქტი დიდი რაოდენობით მოიხმაროს.

ბუნებრივია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მარილი უზომოდ მივიღოთ, მაგრამ არც უმისობა ყოფილა მთლად ჭკუასთან ახლოს. საერთოდაც, ზომიერება ყველაფერში კარგია, მარილის ჭამა იქნება ეს თუ მოხარშული წაბლის.

ექიმების რეკომენდაციით, მარილის დღიური ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 4 გრამს.

**med-i.ru**

## მოზარდების აგრესიული საქციელი ტვინის განუვითარებლობის ბრალია?



ძალიან ბევრი ადამიანი დაზარალებულა მოზარდების აგრესიის გამო, თუმცა დამნაშავეების დასჯა ყოველთვის ვერ ხერხდება. ესეც რომ არ იყოს, საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია აგრესიული მოზარდების ციხეში გამწესება, იქნებ, მათ სხვანაირი დახმარება სჭირდებათ – არა ფსიქოლოგიური, არამედ კლინიკური?

ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ მოზარდის აგრესიულობა შესაძლოა, თავის ტვინის იმ მონაკვეთის დაზიანებით იყოს გამოწვეული, რომელიც ემოციებზეა პასუხისმგებელი. ამ მონაკვეთის განუვითარებლობა კი მომავალში ადამიანის ბუნებას კიდევ უფრო აუტანელსა და სასტიკს ხდის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტებმა რამდენიმე ასეული მოზარდის ტვინის სურათები შეისწავლეს და დაზუსტებით დადგინდა, რომ კონკრეტული განუვითარებელი მონაკვეთის მქონე ბავშვები გაცილებით აგრესიულები იყვნენ, ვიდრე მათი თანატოლები.

მიგნებიდან გამომდინარე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შეძლებენ ისეთი პრეპარატის შექმნას, რომელიც თავის ტვინის ემოციებზე პასუხისმგებელი მონაკვეთის სტიმულირებაზე იზრუნებს და მოზარდების აგრესია ამ გზით დამარცხდება.

**doctor-prof.ru**

## ტკბილეულობის მოყვარულებს ჭარბი წონა... არ აშინებთ



უდაოდ შესანიშნავი სიახლე აქვთ ამერიკელ სპეციალისტებს ტკბილეულობის მოყვარულთათვის, რადგან დაადგინეს, რომ გასუქების რისკი გაცილებით დაბალია სწორედ ტკბილი სასუსნავების მოყვარულებში, განსხვავებით იმათგან, ვინც პირის ჩატკბარუნებაზე უარს ამბობს ხოლმე.

აღნიშნულ საკითხზე კონტინენტსგაღმელები 5 წლის მანძილზე მუშაობდნენ და ექსპერიმენტების მონაწილეებს სხეულის მასას და ასევე, თეძოების გარშემოწერილობას უკონტროლებდნენ.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ტკბილეული სულაც არ არის ფიგურის პირდაპირი მტერი. უფრო მეტიც, შოკოლადის მოყვარულები ხშირ შემთხვევაში, უკეთ გამოიყურებოდნენ.

რა არის ამ დაუჯერებელი მოვლენის მიზეზი, სპეციალისტები ამომწურავ პასუხს ჯერჯერობით ვერ იძლევიან.

**myjane.ru**

## მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული მკვლელი... 92 წლისაა



ეეჰ, სიბერეს რა ვუთხრათ, თორემ ამ ისტორიის მთავარი გმირები ერთად მთელი 70 წელი ცხოვრობდნენ. შემდეგ მოხდა ის, რომ წარმოშობით ავსტრალიელ კლარა ტენს ასაკობრივმა ჭკუასუსტობამ შეუტია და გამუდმებით იმის შიში ჰქონდა, ჩინელი ქმარი ჩინ იან ტენი საჭმელში საწამლავს ჩამიყრისო.

ჰოდა, ერთ დღესაც ადგა 92 წლის ცოლი და 98 წლის ქმარი ჯერ ხელკეტით გათიშა, შემდეგ კი სამზარეულოს დანით მოუღო ბოლო.

სასამართლომ კლარა ტენსი ფსიქიკურად არაადეკვატურად ცნო და პატიმრობა არ მიუსაჯა.

სწორედ ასე იქცა 92 წლის კლარა ტენსი მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ მკვლელად, თუმცა, ბუნებრივია, ამ ანტირეკორდის დამყარებისთვის მას ჩინმედლებით არავინ აავსებს.

**mignews.com**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




1. ურუგვაის დედაქალაქი
2. 10მმ
3. პურის სოკო
4. ნორმიდან გადახრა
5. მულტფილმი „მონსტრების ...“
6. თბილისის ძველი უბანი
7. ფოლადის სადნობი ღუმელი
8. ქალაქი რაჭაში
9. ნიშნავს ქვას
10. სოფელი ოზურგეთის რაიონში
11. ცხიმოვანი სიმსივნე
12. რომაელი იმპერატორი
13. ლეჩხუმის მაქარი
14. მეფის მხლებლები
15. ყურე
16. ზღვის ძუძუმწოვარი
17. ყელსაბამი
18. ტალახი
19. სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
20. დარდი
21. მუსლიმანების წმინდა ქალაქი
22. მომღერალი ... მჟავია
23. ბანქოს ფურცელი ერთი ნახატით
24. ადამიანი ობობა
25. მისი დედაქალაქია დელი
26. თეთრი ვეშაპი ... დიკი
27. ყვავილი
28. შხამიანი ობობა
29. ...-დე-ჟანეირო
30. ის, ვისაც წერილს უგზავნიან
31. ძველი საბერძნეთი
32. მთაზე გამართული ბაგირიანი ვაგონი
33. შენობა, რომელზეც 9მაისს აღმართეს სსრ კავშირის დროშა
34. იაპონიის დედაქალაქი
35. ქალაქი ციმბირში
36. გვარში დასმული მძიმე
37. მსაჯი
38. რეჟისორი ... რიაზანოვი
39. ვირას საპირისპირო ბრძანება
40. უპირველესი საქმე
41. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
42. ერთგვარი რეპტილია
43. დრამატურგი ემილ ...
44. მოკლე პალტო
45. მოქნეული ფეხი
46. მტირალა ხე
47. ჯუჯა ჟირაფი
48. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
49. ჯუჯა ცხენი
50. ქალაქი სამეგრელოში
51. საპოროვანი მცენარე
52. ერთგვარი ბორანი
53. ეკლიანი მცენარე
54. პოეტი ... პეტეფი
54ა. ალკოჰოლური სითხე
55. მომღერალი ბობ ...
56. შიიზმის მიმდევარი
57. მზის ღმერთი ეგვიპტეში
58. ... სუხიშვილი
59. აბუ-ალი ... სინა იგივე ავიცენა
60. მაგნატი არისტოტელე ...
61. ხორბლის ჯიში
62. შტატი აშშ-ში
63. ესტონეთის დედაქალაქი
64. მსახიობი დონატას ...
65. მსახიობი ... ჩურიკოვა
66. შოლოხოვი. „წყნარი ...“
67. თევზის კვერცხები
68. ნორვეგიის დედაქალაქი
69. მწერალი ... ბულიჩოვი
70. მ/ფ „როგორ მოვიპაროთ ...“
71. შინაური მტაცებელი ცხოველი
72. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
73. პოლიტიკოსი ინდირა ...
74. ... ხაიამი
75. იატაკის საცხი
76. რეჟისორი პედრო ...
77. ქსოვილი თეთრეულისათვის
78. ბიბლიური მოსეს ძმა
79. მსახიობი კიანუ ...
80. მუსიკალური გასართობი
81. მომღერალი მირეი ...
82. თევზის ჯიში
83. მზის სისტემის პლანეტა
84. მსახიობი შერონ ...
85. მღრღნელი ცხოველი
86. მშობიარობის დამხმარე
87. მეტამორფოზის ბოლო სტადია
88. ... და გაბანა
89. მწერალი ... ჩუკოვსკი
90. ტოტი
91. კინოს დაწყების დრო
92. ჭადრაკის ფიგურა
93. შეთანხმება ომის შეწყვეტაზე
94. კუდიანი ვარსკვლავი
95. „... კონგენიალურობა“
96. მსახიობი ... ტაილერი
97. რბილი ლითონი
98. თბილისის უბანი
99. ფურცლის დაკეცვის იაპონური ხელოვნ.
100. ტბა კანადაში
101. ვულკანური მასა
102. მერცხლის ხმიანობა
103. მაღაზია, ანუ ...
104. პოპკორნი
105. ჩილეს დედაქალაქი
106. წამლით გამოწვეული ძილი
107. მომღერალი ... პავლიაშვილი
108. ღრმული წყნარ ოკეანეში
109. როტორი და ...
110. თევზის ჯიში
111. ჩაღრმავება ვულკანის ყელში
112. ინის საპირისპირო
113. ... მუსოლინი
114. ყავისფერი პიგმენტი
115. ხელით ლამაზად ნაკერი
116. მსახ. ... ქავჟარაძე
117. ბავშვის კბილი
118. მსახიობი ... კახიანი
119. მსახიობი ჯესიკა ...
120. კუნძული წყნარ ოკეანეში
121. სამეჯლისო ცეკვა
122. ომის ღმერთი ბერძ. მით.
123. მწერალი ... ჭავჭავაძე
124. ფილოსოფოსი ემანუილ ...
125. ინგლისური ლუდი
126. ცხვრის ჯიში
127. სამიანი ნარდში
128. ლონდონის ცენტრი
129. ანსამბლი „სტატუს ...“
130. მედალზე: ... და რევერსი
131. მდინარე კახეთში
132. კვალიფიციური ხელოსანი
133. პროფესორი ... მეტრეველი
134. ცისფერ. სიმაგრე. იქვე აბატი ფარია
135. თეატრალური მაკიაჟი
136. მოცელილი გამხმარი ბალახი
137. ვირისა და ცხენის ნაშიერი
138. მდინარე იტალიაში
139. კუნძული ინდონეზიაში
140. შილაფლავის სანელებელი

პასუხები: 1. მონტევიდეო; 2. სანტიმეტრი; 3. ობი; 4. ანომალია; 5. კორპორაცია; 6. აბანოთუბანი; 7. მარტენი; 8. ონი; 9. ლითი; 10. ნასაკირალი; 11. თია; 12. ნერონი; 13. საქაროზა; 14. ამალა; 15. უბე; 16. ლომვეშაპი; 17. მძივი; 18. ლაფი; 19. გიბრალტარი; 20. ვარამი; 21. მექა; 22. ანანო; 23. კიკო; 24. სპაიდერმენი; 25. ინდოეთი; 26. მობი; 27. ტიტა; 28. ტარანტული; 29. რიო; 30. ადრესატი; 31. ელადა; 32. ფუნიკულიორი; 33. რაიხსტაგი; 34. ტოკიო; 35. ნოვოსიბირსკი; 36. აპოსტროფი; 37. არბიტრი; 38. ელდარ; 39. მაინა; 40. პრიორიტეტი; 41. ოლია; 42. გეკონი; 43. ბრაგინსკი; 44. მანტო; 45. წიხლი; 46. ტირიფი; 47. ოკაპი; 48. არისტოტელე; 49. პონი; 50. აბაშა; 51. სოკო; 52. რორო; 53. კაქტუსი; 54. შანდორ; 54ა. სპირტი. 55. მარლი; 56. შიიტი; 57. რა; 58. ილიკო; 59. იბნ; 60. ონასისი; 61. იფქლი; 62. ოკლაჰომა; 63. ტალინი; 64. ბანიონისი; 65. ინა; 66. დონი; 67. ქვირითი; 68. ოსლო; 69. კირ; 70. მილიონი; 71. კატა; 72. იკაროსი; 73. განდი; 74. ომარ; 75. მასტიკა; 76. ალმოდოვარი; 77. მიტკალი; 78. აარონი; 79. რივზი; 80. კარაოკე; 81. მატიე; 82. კალმახი; 83. მარსი; 84. სტოუნი; 85. თახვი; 86. მეანი; 87. იმაგო; 88. დოლჩე; 89. კორნეი; 90. რტო; 91. სეანსი; 92. ლაზიერი; 93. ზავი; 94. კომეტა; 95. მის; 96. ლივ; 97. კალა; 98. ავჭალა; 99. ორიგამი; 100. ონტარიო; 101. ლავა; 102. ჭიკჭიკი; 103. მარკეტი; 104. ბატიბუტი; 105. სანტიაგო; 106. ნარკოზი; 107. სოსო; 108. მარიანი; 109. სტატორი; 110. სვია; 111. კრატერი; 112. იანი; 113. ბენიტო; 114. მელანინი; 115. გვირისტი; 116. ლიკა; 117. კიჭი; 118. ეკა; 119. ალბა; 120. ტაიტი; 121. ვალსი; 122. არესი; 123. ილია; 124. კანტი; 125. ელი; 126. მერინოსი; 127. სე; 128. სიტი; 129. კვო; 130. ავერსი; 131. იორი; 132. ოსტატი; 133. როინ; 134. იფი; 135. გრიმი; 136. თივა; 137. ჯორი; 138. პო; 139. იავა; 140. ძირა. იკითხება: ეროსი მანჯგალაძე.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## შვეიცარიელებმა შავი შოკოლადი... წიწაკისგან დაამზადეს



წიწაკის მწნილი გაგვიგია და არაყიც, მაგრამ შოკოლადის შესახებ გამოგიტყდებით და ნამდვილად არაფერი გვსმენია.

ცნობილი ხდება, რომ წიწაკიანი შოკოლადი შვეიცარიულმა საკონდიტრო ქარხანამ „ლაინდმა“ გამოუშვა, რომელსაც თავად პროდუქტის შემქმნელებიც „შავი შოკოლადის ევოლუციას“ უწოდებენ.

პროდუქტი მართლაც ევოლუციურია, რადგან მის შემადგენლობაში ხომ თავისი სიმწარით ცნობილი წიწაკა ჩილი შედის.

ასეთი უჩვეულო სასუსნავის შექმნა შვეიცარიელებს ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობამ შთააგონა, რომელმაც კაკაოცა და წიწაკა ჩილიც ევროპაში ლათინური ამერიკიდან შეიტანა. გარდა ამისა, ისტორიკოსებისთვის ცნობილი ყოფილა, რომ შოკოლადის მსგავს სასმელში წიწაკას ჯერ კიდევ უძველესი მაიას ტომის დროს ამზადებდნენ.

როგორია ახალი პროდუქტის გემო და რამდენად მოიწონეს ის ტკბილეულის მოყვარულებმა, სამწუხაროდ, აღარ ზუსტდება.

*sostav.ru*

## თვითმფრინავის აეროპორტთან მიახლოებისას პილოტი... ტუალეტში ჩაიკეტა



კურიოზია ეს თუ ტრაგედია, თავად განსაჯეთ: კომპანია „ეირ კანადა ჯაზის“ კაპიტანი მაინცდამაინც იმ დროს ჩაიკეტა ტუალეტში, როცა ავტოპილოტის გათიშვისა და აეროპორტში დაშვების დრო დადგა.

ეს უჩვეულო ინციდენტი ავიალაინერ „ბომბარდირ სი ერ ჯი 100“-ზე მოხდა, რომელსაც დაახლოებით 50 მგზავრი გადაჰყავდა.

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ, როდესაც კაპიტანი ტუალეტში ჩაიკეტა, ამის შესახებ ყველამ გაიგო, რადგან პილოტი კარის გამომტვრევას მთელი მონდომებით ცდილობდა – ავტოპილოტი სასწრაფოდ გასათიში იყო და აბა, რა უნდა ექნა?

საბოლოო ჯამში, კარის დამტვრევა მოხერხდა და პილოტმაც თვითმფრინავი მშვიდობიანად დასვა მიწაზე.

ინციდენტის შემდეგ კომპანიამ მგზავრებს ბოდიში მოუხადა და განუმარტა, რომ ლაინერის აეროპორტში დაშვებას კაპიტნის თანაშემწეც მოახერხებდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ თანაშემწე ახალბედა ყოფილა და საშინლად დაბნეულად გამოიყურებოდა.

*top.rbc.ru*

## ამერიკელი მოსამართლე დამნაშავეების გამოსწორებას „კრეატიული განაჩენებით“ ცდილობს



როგორც ჩანს, ამერიკაში იფიქრეს, ციხეში ჯდომა დამნაშავეებისთვის საკმარისი არ არისო და მათი აზრზე მოყვანის ახლებური ხერხებიც მოიგონეს. კერძოდ, ოჰაიოს შტატის ქალაქ ლეი-ქაუნთის მოსამართლე 54 წლის მაიკ ციკონეტი მსჯავრდადებულებს არჩევანის წინაშე აყენებს – ხანგრძლივი პატიმრობა, ან „კრეატიული განაჩენი“.

ასე მაგალითად, 26 წლის დიასახლისს მიშელ მიურეის, რომელმაც 35 კნუტი ქუჩაში გადაყარა, მოსამართლემ დაბურულ ტყეში მარტოდმარტო რამდენიმე დღის გატარება მიუსაჯა, რათა თავადაც ეგრძნო ის ტკივილი, რაც დაუცველმა ცხოველებმა იგრძნეს.

გარდა ამისა, ამავე მოსამართლემ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელმაც ნასვამ მდგომარეობაში უმისამართოდ სროლა დაიწყო, ცენტრალურ მორგში ერთკვირიანი სიარული მიუსაჯა, რათა მიცვალებულები ენახა. უფროსკლასელებს კი, რომლებმაც სკოლის ავტობუსის საბურავები დაჭრეს, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის პიკნიკის მოწყობა აიძულეს.



რამდენიმე მოზარდი, რომლებმაც ქალაქის ერთ-ერთ ტაძარში იესოს ქანდაკებაზე „666“ ამოტვიფრეს, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სამი დღის მანძილზე ქალაქის ქუჩებში შემდეგი წარწერით დადიოდა:

– გვაპატიეთ, რადგან ვირებივით მოვიქეცით...

მაიკ ციკონეტის თქმით, სავსებით შესაძლებელია, ზოგიერთებმა მას ვერ გაუგონ და იფიქრონ, რომ ადამიანებს ზედმეტად სასტიკად ექცევა, მაგრამ ამის მიუხედავად, უჩვეულო განაჩენების გამოტანას ის მომავალშიც აუცილებლად გააგრძელებს.

*etotupo.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**12 ივნისი:** ნუ შეგშურდებათ თქვენზე წარმატებულების. ერთ-ერთმა ასეთმა ადამიანმა შეიძლება მომგებიანი წინადადება შემოგთავაზოთ. მხოლოდ სიამაყის გამო, შემოთავაზებაზე უარის თქმა სისულელე იქნება, თქვენს დამცირებას არავინ აპირებს.

**კურო 22.04-21.05**

**12 ივნისი:** საკუთარი თავისა და ცხოვრებისგან ძალიან ბევრს ითხოვთ. ნუ ითრგუნავთ თავს ცხოვრებისგან სიამოვნების მიღება რთული არ არის.

**ტყუპები 22.05-21.06**

**12 ივნისი:** თქვენს წარუმატებლობებს ცრურწმენას ნუ დააბრალებთ. მცირეოდენი გონებრივი ძალისხმევა გმართებთ და პრობლემების ნაწილს მოაგვარებთ. შეეცადეთ, დღეს ზედმეტები არ ილაპარაკოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**12 ივნისი:** ურიგო არ იქნება, თუკი დღეს საოჯახო საქმეებს მიხედავთ. შეეცადეთ, დღეს ინიციატივები არ გააჟღეროთ, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ხელს შეგიშლით.

**ლომი 23.07-22.08**

**12 ივნისი:** შეიძლება დღეს დაუპატიჟებელი სტუმრები გეწვიონ. წინასწარ მოემზადეთ, რომ უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**12 ივნისი:** ყურადღებით იყავით, დღეს თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელსაყრელი საშუალება მოგეცემათ. შანსი ხელიდან არ გაუშვათ.

**სასწორი 23.09-22.10**

**12 ივნისი:** ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მოგიწევთ. ვითარება შეიცვალა და სხვაგვარად უნდა იმოქმედოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**12 ივნისი:** თავს ბევრად ახალგაზრდად იგრძნობთ. მთლად ბავშვობაში ნუ გადავარდებით და ზედმეტად ნუ „იცელქებთ“, ჯანმრთელობა არ დაიზიანოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**12 ივნისი:** თქვენს მოქმედებებში ადვილი შესამჩნევი იქნება ტენდენცია, როგორ ქმნით თქვენს გარშემო ქაოსს. იქნებ სიტუაცია შეისწავლოთ და გამოსავალი მოძებნოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**12 ივნისი:** დღეს წესები, რომლებიც არცთუ იშვიათად გიწამლავთ ცხოვრებას, შეიძლება თქვენი დაცვის გარანტად იქცეს.

**მერწყული 20.01-18.02**

**12 ივნისი:** ენთუზიაზმით იქნებით აღსავსე, მაგრამ იდეების დეფიციტი გექნებათ. ისეთი ადამიანის დახმარება დაგჭირდებათ, რომელიც სწორ მიმართულებას მიგითითებთ.

**თევზები 19.02-20.03**

**12 ივნისი:** შეიძლება დღეს ისეთი ჭორების გავრცელებაში დაგდონ ბრალი, რომელთა შესახებაც არაფერი გსმენიათ. შეეცადეთ, ალიბი წინასწარ შეიმზადოთ.

გაზეთი ალია
სამუშაოდ იწვევს
გამოცდილ ჟურნალისტებს
ანაზღაურება 640 ლარიდან

გამოცდილ ჟურნალისტს
საინფორმაციო
სააგენტოებზე მუშაობის
პრაქტიკით – საინფორმაციო
სამსახურის რედაქტორად.

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## პოლიციის ალყაში მოხვედრილმა მძარცველმა დახმარება... დედას სთხოვა



„დედიკოს ბიჭობა“ ბევრს რატომღაც შეურაცხყოფად მიაჩნია და თავს იკლავს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, არადა, სხვა თვალით თუ შევხედავთ, ნამდვილად არაფერია ცუდი იმაში, დედის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული თუ აქვს ადამიანს.

ისე, აღნიშნულ ტერმინს სახელს სწორედ ისინი უტეხენ, თავი რომ მძლეთამძლეებად მოაქვთ, თორემ დანარჩენებს, ვინც მშობლის პატივისცემას ნორმის ფარგლებში ტევს, დასაძრახი ნამდვილად არაფერი აქვთ და რაც გინდათ, ის თქვით.

ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ ერთი ცალტვინა 26 წლის ბრაზილიელი კრიმინალი პოლიციელებმა ფაქტზე დაიჭირეს და მის ასაყვანად შენობას ალყა შემოარტყეს.

მოგეხსენებათ, ხაფანგში მომწყვდეული ნადირი ყველაზე საშიშია, მაგრამ იცით, რა ქნა ბრაზილიელმა ქურდმა? ადგა და დედიკოს დაურეკა – მიშველე, დედი, ვიღუპებიო.

– ასეთი რამ არასოდეს გვინახავს, რადგან საშიშ დამნაშავედ მიჩნეული კრიმინალი, რომელსაც რამდენიმე თვე ვეძებდით, იმ დრომდე არ გამოვიდა ჩვენთან კონტაქტზე, ვიდრე კონსულტაციები დედასთან არ გაიარა. მძევლებიც მან სწორედ დედის რჩევით გაათავისუფლა და ამის შემდეგ ჩაგვბარდა, – ყვებიან სამართალდამცველები.

ეჰ, ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ძალით მაგარი ბიჭები გვახვევია გარშემო!

*inosmi.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ორი მამაკაცი მივლინებაში მიდის:

– როგორ ხვდები ხოლმე, ცოლმა გიღალატა თუ არა?

– რა ვიცი, განსაკუთრებული ხერხები არ მაქვს. უბრალოდ, კითხვას ვუსვამ და რომ მპასუხობს, პირდაპირ თვალებში ვუყურებ.

– ეგ არ ვარგა, მე უფრო სანდო მეთოდი მაქვს – სახლში რომ ვბრუნდები, პირველ რიგში, მეზობელს ვუკაკუნებ. როგორც კი კარს აღებს, ეგრევე მივახლი ხოლმე: „შე ბოზო!“ ის კი მპასუხობს: „ეს მე ვარ ბოზი?! სანამ შენ არ იყავი, ნეტა გენახა...“

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ზანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.50